თქვენ გაგეგონებათ, რომ კაცობრიობა დღეს დანაწილებულია სახელმწიფოებათ. ევროპაში არის შესანიშნავი სახელმწიფოები: საფრანგეთი, ინგლისი, გერმანია, იტალია და სხვები. ამერიკაში ჩრდილო-ამერიკის შეერთებული შტატები, აზიაში—იაპონია, ჩინეთი, ერთი სიტყვით მთელი კაცობრიობა ჯგუფ-ჯგუფათ დანაწილებულია და ყოველი ადამიანი ამა თუ იმ ჯგუფს ეკუთვის. ჩვენ, მაგალითათ, ქართველები, დღეს შევადგენთ რუსეთის სახელმწიფოს ნაწილს. კაცობრიობის განვითარების დროს ხალხთა შორის მოხდა დანაწილება. ხალხის უმცირესი ნაწილი გაბატონდა უმრავლესობაზე. ამ ბატონობის დედა აზრი არის უმრავლესობის გაყვლეფა, უმრავლესობის ნაშრომის მითვისება. სწორეთ სახელმწიფო წეს-წყობილება დღევანდლამდე ისეთ ნაირათაა მოწყობილი, რომ ის ემსახურება უმცირესობის ინტერესებს უმრავლესობის, ღარიბ ხალ-



ხის გასაყვლეფათ. ასეთი ურთიერთობის
 ასეთი წინააღმდეგობის გამო იბადება მუდმივი
 ბრძოლა უმცირეს გამყვლეფელთა და უმრავლეს
 გაყვლეფილთა შორის. ძველი დროის მონები ებრ-
 ძვიან ბატონებს, საშუალო საუკუნოებში გლეხები ომს
 უცხადებენ მემამულეებს, დღეს ებრძვის მუშა
 კაპიტალისტებს, რომელთაც იცავს მთავრობა. თა-
 ვისი ჯარით და მოხელეებით. ამ მუდმივ ბრძოლაში
 თანდათან იცვლება სახელმწიფოს სახე, თანდათან
 უმრავლესობა უსპობს უმცირესობას უპირატესობას,
 სახელმწიფოს ძალა თანდათან გადად.ს ხალხის
 ხელში. რადგან ხალხს სხვა და სხვა სახელმწიფოში
 სხვა და სხვა ძალა აქვს, ამიტომაც სახელმწიფოების
 მოწყობილობაც სხვა და სხვა ნაირია.

განუსაზღვრელი მახარქია. თუ სახელმწიფოში
 გამგე და კანონმდებელი ერთი პირი—მეფეა, რომელიც
 მემკვიდრეობით მიიღებს თავის წინაპრისაგან
 ამ მეფურ უფლებას და განაგებს თავის სახელმწი-
 ფოს ხალხის დაუკითხველათ, განუსაზღვრელათ,
 თავისი მოხელეების შემწყობით, მაშინ ასეთ სახელ-
 მწიფოს ჩვენ ვუწოდებთ განუსაზღვრელ მონარქიას.
 განუსაზღვრელ მონარქიის წევრი არ არის მოქა-
 ლაქე, ის მოკლებულია ადამიანურ უფლებას, ისაა
 მხოლოდ ქვეშევრდომი. რუსეთი, რომლის ნაწილს



დღეს ჩვენი ქვეყანა წარმოადგენს, 1905 წლის
 17 ოქტომბრამდე იყო სწორეთ განუსაზღვრელი
 მონარქია. თითქმის სულ ყველა დღევანდელ სა-
 ხელმწიფოები ცოტა თუ დიდი ხნის წინეთ წარ-
 მოადგენდენ განუსაზღვრელ მონარქიას. მაგრამ
 ხალხის და მეფეს შორის შეუწყვეტელ ბრძოლიდან
 ხალხი ბოლოს გამარჯვებული გამოვიდა. ამ გა-
 მარჯვების შედეგი იყო ან მეფობის სრულიად მო-
 სპობა, ან სახელმწიფო მართვა გამგეობის უფლე-
 ბის განაწილება ხალხსა და მეფის შორის. ამ ნაი-
 რათ გაჩნდა რესპუბლიკა და განსაზღვრულ ანუ
 კონსტიტუციონალური მონარქია. რესპუბლიკაში
 მთელი სახელმწიფო ძალა ხალხს ხელშია. ევრო-
 პაში რესპუბლიკა არსებობს შვეიცარიაში და სა-
 ფრანგეთში. განსაზღვრულ მონარქიაში ხალხი მო-
 ნაწილეობას იღებს სახელმწიფო მართვა გამგეობაში.
 ორივე ეს სახელმწიფო უფლებბრძვიან, ესე იგი ყო-
 ველი მოქალაქე, მასთან ყოველი მოხელე, თუნდ
 თვით მეფე ან რესპუბლიკაში უფროსი მოხელე—
 პრეზიდენტი, სარგებლობენ მხოლოდ იმ უფლებებით,
 რომელიც მათთვის მიუნიჭებია განსაზღვრულ ძირი-
 თად კანონებს, ანუ კონსტიტუციას. აქ თვითნებო-
 ბას არ აქვს ადგილი. აქ კანონი საზღვრავს რო-
 გორც მეფის, ისე ყველა მის ხელქვეითის მოქმე-



დებას. ხოლო ამ კანონების გამოცემა ხალხს და
 მოკიდებული. გარდა ამისა განუსაზღვრელ მონარ-
 ქიაში, როგორც ზევით მოვიხსენიეთ, არ არსებობს
 მოქალაქე, ესე იგი არავისი პიროვნება არაა და-
 ცული მეფის და მისი მოხელეების თვითნებობისა
 და ძალმომრეობისაგან. პირიქით ყოველ კონსტი-
 ტუციონალურ სახელმწიფოში აუცილებლივ გან-
 საზღვრულია ყოველი მოქალაქის უფლება, აუცი-
 ლებლივ ის დაცულია სახელმწიფოს ძალმომრეო-
 ბისაგან და მას ძინიჭებული აქვს უფლებანი პიროვნ-
 ნების და კერძო ბინის ხელშეუხებლობა, სინ-
 დისის, სიტყვის, მწერლობის, კრების და კავშირე-
 ბის თავისუფლება. ამას ზედ ერთვის ზოგიერთი სა-
 ხელმწიფოში მშვიდობიან გაფიცვის უფლებაც.

კონსტიტუციონურ სახელმწიფოში ჩვეულებ-
 რივ კანონების გამოცემა შეადგენს საკანონმდებლო
 კრებულის საგანს. საკანონმდებლო კრებული სა-
 ზოგადოთ შემდგარია ორი პალატისაგან: პირველ
 პალატაში შეკრებილი არიან ხალხის მიერ არჩეუ-
 ლი კაცები, დეპუტატები, ამიტომ ამ პალატას საზო-
 გადოთ ქვია ხალხის წარმომადგენელთა კრებული,
 ხოლო მეორე პალატა შესდგება განსხვავებული წე-
 სით, რომელიც სხვა-და-სხვა სახელმწიფოში სხვა ღ-
 სხვანაირია, ამ პალატას ქვია მეორე, ან ზემო პალატა.



ინგლისში ხალხის წარმომადგენელთა კრებულში
ქვია თემთა პალატა, ანუ ქვემო პალატა, მეორეს
კი—ლორდთა პალატა, ანუ ზემო პალატა, ორივე
ერთათ შეადგენს პარლამენტს. საფრანგეთში ხალ-
ხის წარმომადგენელთა კრებულს ქვია დეპუტატთა
პალატა, ხოლო მეორეს—სენატი, ასეთი სახელი
აქვს მეორე პალატას იტალიასა და ბელგარიაში.
გერმანიაში ხალხის წარმომადგენელთა კრებას ქვია
რეიხსტაგი, ავსტრიაში—რეიხსტრატი.

რადგანაც მთელ ხალხს არ შეუძლია პირდა-
პირ საკანონმდებლო მოქმედებაში მონაწილეობა
მიიღოს, ამიტომ ის ირჩევს განსაზღვრულ რიცხვს
წარმომადგენლებისა, მაგალითათ საფრანგეთში ყო-
ველი 70.000 მოქალაქე ირჩევს ერთს დეპუტატს.
არჩევნების წესი სხვა-და-სხვანაირია. ხალხის ინტე-
რესი მოითხოვს, რომ არჩევნების უფლება ქონდეს
ყოველ სრულ-წლოვან მოქალაქეს განუზღვრელათ
სქესისა. ასეთი წესია დღეს მხოლოდ მამაკაცებისა-
თვის საფრანგეთში და გერმანიაში, სადაც განხორ-
ციელებულია საყოველთაო, სწორი, პირდაპირი და
ფარული არჩევნების უფლება. ინგლისში არჩევნე-
ბის უფლებისათვის დაწესებულია მცირედი ქონებ-
რივი ცენზი (ქონების პატრონი უნდა იყოს კაცი).
იტალიაში საარჩევნო უფლების მოპოვებისათვის სა-
ჭიროა წერა-კითხვის ცოდნა.

საკონსტიტუციო სახელმწიფოში აღმასრულებელი ძალა ეკუთვნის სახელმწიფოს მეთაურს; რესპუბლიკაში — პრეზიდენტს, სამეფოში — მეფეს. მაგრამ თანდათან ეს ძალაც ხალხის წარმომადგენელთა ხელში გადადის. როგორ ხდება ეს? პრეზიდენტი ან მეფე აღმასრულებელ ძალის განსახორციელებლათ იწვევს მინისტრებს. ხოლო მინისტრები პასუხის მგებელნი არიან დეპუტატთა საკრებულოს წინაშე. ხალხის წარმომადგენელთ უფლება აქვთ შეეკითხონ მინისტრებს მათი ამა თუ იმ მოქმედების შესახებ, და მინისტრები ვალდებული არიან თავისი განმარტება წარუდგინონ მათ. თუ დეპუტატთა საკრებულო მინისტრთა მოქმედებას დაიწუნებს, მინისტრებს უცხადებს უნდობლობას, მაშინ მინისტრები სამსახურიდან უნდა გავიდნენ. ხოლო რომ სამინისტროს დეპუტატთა საკრებულოს ნდობა ქონდეს, ამისთვის საჭიროა სამინისტრო მოწვეულ იქმნას დეპუტატთა საკრებულოს უმრავლესობისაგან. ამნაირათ გამოდის, რომ აღმასრულებელი ძალა პრეზიდენტისა და მეფისა ნამდვილათ მინისტრების ხელში გადადის, ხოლო მინისტრები პასუხს აგებენ პარლამენტის წინაშე. რომ ეს პასუხის-მგებლობა უფრო საფუძვლიანი იყოს, ამისათვის კიდევ მიღებულია ერთი წესი.



საქართველოს
არჩევნების
სამსახური

რესპუბლიკის პრეზიდენტის და მეფის ბრძანებულებას განკარგულებას კანონიერი ძალა რომ ქონდეს, ამისთვის უსათუოთ მას ხელს უნდა აწერდეს მინისტრიც. ამ ხელის მოწერით ის კისრულობს პასუხისმგებლობას პარლამენტის და ხალხის წინაშე.

ამნაირათ კონსტიტუციონურ სახელმწიფოში საკანონმდებლო კრებული ადგენს კანონებს და თვალ-ყურს აოცენებს მოხელე პირებს. გარდა ამისა აქვს ერთი ძირითადი უფლებაც. ესაა სახელმწიფო ბიუჯეტის, ესე იგი შემოსავალ-გასავალის ყოველ წლივ დამტკიცება. თუ საკრებულო ბიუჯეტს არ დაამტკიცებს, მაშინ მთავრობას არ აქვს უფლება ხალხს რამე გადასახადი გააწეროს და გადაახდევინოს.

საკანონმდებლო საკრებულო ყოველთვის ირჩევა განსაზღვრული ვადით, რომელიც სხვა-და-სხვა სახელმწიფოში სხვა-და-სხვაა. ვადა რომ გავა, მაშინ დაინიშნება ახალი არჩევნები. მოხდება ხოლმე, რომ საკრებულოს დაითხოვს რესპუბლიკაში პრეზიდენტი ან სამეფოში მეფე. ეს მაშინაა, თუ აღმასრულებელი ძალა და საკანონმდებლო ვერ შეთანხმდენ. მაშინ პრეზიდენტი ან მეფე ნიშნავს ახალ არჩევნებს და ამით სადავო საკითხი მთელ ხალხში გადააქვს. თუ ხალხი პრეზიდენტის ან მეფის მხა-



რესაა, მაშინ ის საკრებულოსთვის ირჩევს კომისიის
 რომის მომხრე დეპუტატებს, თუ წინააღმდეგია და
 მოწინააღმდეგეებს. უკანასკნელ შემთხვევაში სახელ-
 მწიფოს მეთაური იძულებული ხდება დაემორჩი-
 ლოს ხალხის ნებას.

რუსეთის სახელმწიფო.

თვალ-უწვდენელი ადგილი უკავია რუსეთის სა-
 ხელმწიფოს. ურიცხვ ერს მოუყრია თავი ამ უზარ-
 მაზარ ქვეყანაში. დღემდის ეს სახელმწიფო მთელ
 ევროპაში ოსმალეთთან ერთად წარმოადგენდა გა-
 ნუსაზღვრელ, თვითმპყრობელ იმპერატორის სამ-
 ფლობელოს. მეფე განაგებდა სახელმწიფოს. ურიცხვ
 მოხელეების შემწეობით. რუსეთის ქვეშევრდომმა
 არ იცოდა, რაა სიტყვის, გინდ სინდისის თავისუფ-
 ლება. თავვასული, აუღაგმავი მოხელე ყვლევდა,
 სცემდა, აუპატიურებდა და აწიოკებდა მას. ხალხი
 შეგნებულათ ზე შეუგნებელათ ებრძოდა ასეთ ძალ-
 მომხრეობას. წინეთ განუვითარებლობის გამო ხალხს
 ეძნელებოდა ასეთი ბრძოლა. მაგრამ აი შეგნება
 თანდათან იზრდება, ბრძოლაც თანდათან მწვავედ-
 ბა და ბოლოს დადგა წამი, როცა თვითმპყრობელო-
 ბის კედელი შეინგრა. 18 თებერვალს 1905 წ. მე-



უმე გამოაცხადა: მსურს მოვიწვიო ხალხის მიერ არჩეული პირები კანონების წინასწარ გასახილველათო. ამის შესახებ კიდევ გამოსცა კანონი 6 აგვისტოს 1905 წელს. გამოცხადდა სახელმწიფო სათათბიროს დაარსება. მაგრამ ეს სათათბირო მეტათ ხალხისთვის არა სასარგებლოთ უნდა მოწყობილიყო, არჩევნებში მონაწილეობისათვის საჭირო იყო დიდი ქონება, ამით ხალხის უმეტესობა უხმოთ რჩებოდა. სათათბიროს მარტო რჩევის ნება ექნებოდა. ამიტომ ხალხის ღელვამ დაცხრომის მაგიერ იმატა, მას მრყვა საერთო, მთავრობის საწინააღმდეგო გაფიცვა მთელს სახელმწიფოში. მაშინ შეშინებულმა მთავრობამ გამოსცა იმავე 1905 წელს, 17 ოქტომბერს ახალი მანიფესტი. დაარსებული იქმნა სახელმწიფო სათათბირო და აგრეთვე შეცვლილ იქმნა სახელმწიფო საბჭო. სახელმწიფო სათათბირო შედგება წევრებისაგან, რომელნიც ირჩევიან ხუთი წლის ვადით. სათათბიროს შეადგენს 523 დეპუტატი, რომელთა შორის 412 კაცს ირჩევს ევროპის რუსეთი, 38—პოლონეთის სამეფო, 14—დასავლეთ სიბირი, 10—აზიის ეწრების მხარე, 29—კავკასია, 7—აღმოსავლეთ ციმბირი, 13—საშუალო აზია. სახელმწიფო საბჭოს ერთ ნახევარს შეადგენენ ხელმწიფისაგან დანიშნული წევრები, ხოლო

მეორე ნახევარს ირჩევენ მართლმადიდებელ
 მღვდელოება, თავად-ახნაურობა, ერობა, მეცნიერე-
 ბის, ვაჭრების და მრეწველების წარმომადგენელ-
 ნი. მეფემ გამცაცხადა: „ვიცავ რა სახელმწიფო კან-
 ნონების ძირითად დებულებას, რომლის ძალით
 არც ერთი კანონი ჩემ დაუმტკიცებლათ ძალაში
 არ შედისო, ამიერიდან ვაცხადებ, რომ სახელმწი-
 ფო სათათბიროს და საბჭოს მოწვევის შემდეგ კან-
 ნონი ვერ შევა ძალაში, თუ მას არ მიიღებს სა-
 თათბირო და საბჭო“. ამ მანიფესტის ძალით
 განუსაზღვრელობა მეფისა იხლუდებოდა, ხალხის უფ-
 ლებანი ფართოვდებოდა. ამასთანავე ათქმულ იყო,
 რომ რუსეთის ქვეშევრდომს მიენიჭებოდა მოქალა-
 ქის უფლებანი, ესე იგი განსოციელებული იქნე-
 ბოდა პიროვნების ხელშეუხებლობა, სინდისის, სიტყ-
 ვის, კრების და კავშირების თავისუფლება. მაგრამ
 მანიფესტის გამოქვეყნებას თან მოყვა მთავრობის
 უკან დახევა, ძველ გზისკენ დაბრუნება, რეაქცია.
 ბრძოლა გამწვავდა, რეაქციის სისასტიკე გაასკეც-
 და. ასეთ პირობებში გაიხსნა პირველი რუსეთის
 სახელმწიფო სათათბირო. თუმც არჩევნებს წესი
 მეტათ შემავიწროებელი იყო ხალხისთვის, თუმცა
 არჩევნები სწარმოებდა ორკეცი და სამკეცი წესით,
 მიუხედავათ ამისა სათათბიროს უმეტესობა არ გა-



მოდგა მთავრობის მორჩილი. მან მოითხოვა თვითნება სამინისტროს გადადგომა, მოითხოვა გან-
მათავისუფლებელ მოძრაობისათვის მეზობლთა გან-
თავისუფლება ანუ ამნისტია, მოითხოვა ხალხის
ჟღერის მოსპობა, მოითხოვა გლეხებისათვის მიწა
და მუშებისათვის მდგომარეობის გაუმჯობესება.
მთავრობასა და სახელმწიფო სათათბიროს შორის
ჩამოვარდა განხეთქილება. სამინისტრომ არ დაუთ-
მო და სათათბირო დათხოვნით იქმნა. მას შემდეგ
რეაქციის ბნელი ძალები მეტის გაბედულებით თა-
რეშობენ, არა ერთი კუთხე და ქალაქი ააწიოკეს,
არა ერთი მშობელი აატირეს, მაგრამ განმათავი-
სუფლებელი ბრძოლა მაინც დღითი-დღე იზრდება.
თი ასეთ დროს ვემზადებით მეორე სათათბიროს
არჩევნებისათვის.

პ ა რ ო ბ ი.

ყოველი ადამიანი უნდა ჩაუკვირდეს ცხოვრე-
ბას. კარგათ გაიგოს, რა ხდება მის გარშემო, მი-
იღოს მონაწილეობა ცხოვრებაში. ხელი უნდა შე-
უწყოს, რაც კარგია, და შესცვალოს, მოსპოს, რაც
ცუდია და მავნებელი. ადამიანი გულ-ხელ დაკრე-
ფილი არ უნდა უცქეროდეს თავის მდგომარეობას,



თავისი ყოფა-ცხოვრება თვითონვე უნდა
 ბესოს; თუ დღევანდელი სახელმწიფო და საზოგადოებრივი წესწყობილება არ მოსწონს, უნდა შეეცადოს მის გამოცვლას; თუ მოსწონს, უნდა ეცადოს მის დაცვას. ერთი სიტყვით, უნდა მუშაობდეს. მოქმედობდეს იმ მიზნის, იმ საქმის შესასრულებლათ, რომელიც მას მოსწონს, ესე იგი მას უნდა ჰქონდეს გარკვეული საგანი, მისწრაფება, ზრახვა (როგორი სალმწიფო და საზოგადო წესები სურს, დამყარდეს) და ამის შესრულებას უნდა ცდილობდეს. ამასთანავე ნათლათ უნდა ჰქონდეს გამორკვეული, - თუ რაგვარ უნდა იმოქმედოს, რა საშუალება იხმაროს, რომ მოწონებული საქმე შეასრულოს. გარდა ამისა, იგი უნდა შეუერთდეს სხვებსაც, რადგან მარტო ვერაფერს გახდება; სხვებიც იმნაირ მდგომარეობაში არიან, როგორც ის, ამნაირივე სურვილი აქვთ. აი, როცა ადამიანებს ერთნაირი მიზანი, მისწრაფება, ზრახვა აქვთ, ერთნაირი საშუალებათ (ტაქტიკით) ცდილობენ პროგრამის შესრულებას და ერთდებიან, ადგენენ კავშირს, მათი კავშირი არის ჰარტია, ისინი შიადგენენ პარტიას, პარტიას ეძახიან ისეთს კავშირს, რომელიც ცდილობს გაერიოს, მიიღოს მონაწილეობა სახელმწიფოსა და საზოგადო ცხოვრებაში და ან შეცვალოს, ან დაიცვას იგი.



რუსეთში დღეს ბევრი სხვა-და-სხვა პარტიაა.

ყველა პარტიები შეიძლება ორ ნაწილად გავყოთ: ერთ მხარეზე არიან მდიდრების—მემამულეების, მექარხნე-მეთაბრიკეების, ვაჭრების და მთავრობის პარტიები, მეორე მხარეზე—ლარიბების, მუშა ხალხის პარტიები. მდიდრების დამცველებია—ბურჟუაზიული პარტიები, მუშა ხალხის—სოციალისტური პარტიები. მდიდრების პარტიები ყველა ერთნაირი არაა, ზოგს უნდა თვითმპყრობელობის გაძლიერება და ხალხის კიდევ მეტი დაჩაგვრა, ზოგს—თვითმპყრობელობის დაცვა, როგორც არის დღეს, ზოგს—თვითმპყრობელობის მოსპობა—ხელმწიფე დარჩება, ხოლო მისი უფლება იქნება შეზღუდული სათათბიროსაგან; ზოგს უნდა, ცოტა რამ დაუთმოს მუშა, ლარიბ ხალხს, ცოტათი გააუმჯობესოს მისი ცხოვრება, ზოგს კი უნდა ისიც წაართვას მუშა ხალხს, რაც დღეს აქვს.—სოციალისტურ, მუშა ხალხის, პარტიებს უნდათ სრულებით მოსპონ დღევანდელი წეს-წყობილება, მართებლობა, წარმოება, რომელიც დამყარებულია კერძო საკუთრებაზე და ძარცვა-გლეჯაზე, და დააწესონ ისეთი წეს-წყობილება, როცა მუშა ხალხი არ გაიყვლიფება, როგორც დღეს, ყველა იმუშავებს, სიმდიდრე იქნება საერთო, არ იქნება მდიდარი და ლარიბი, დამჩაგვ-

რელი და დაჩაგრული, ესე იგი იქნება ეკლესია, სოციალიზმი. სოციალისტური პარტიები იცავენ მუშა ხალხის ინტერესებს, იბრძვიან მუშა ხალხის განთავისუფლებისათვის. ხოლო სოციალისტური პარტიებიც განსხვავდებიან ზოგიერთ რამეში ერთი მეორისაგან. მაგალითათ, სოციალდემოკრატები ამბობენ, რომ მუშა ხალხია და სოციალიზმის მომხრეა მხოლოდ ქალაქის მუშა პროლეტარიო; სოციალისტ ფედერალისტები კი ამბობენ, რომ ქალაქის მუშა და მიწის მუშა გლეხი ორივე მუშაა, ორივე სოციალიზმისათვის იბრძვისო.

ჩვენში სამი სოციალისტური პარტიაა: სოციალ-დემოკრატები, სოციალისტ-რევოლიუციონერები და სოციალისტ-ფედერალისტები. მათი უმთავრესი მიზანია სოციალიზმის, სრული ერთობის დამყარება, ხოლო ახლობელ მომავალში მათ საჭიროთ მიაჩნიათ, სხვათა შორის, სრული თავისუფლების და ხალხური მართველობის დაწესება, ამით უნდათ გაიადვილონ ბრძოლა სოციალიზმისათვის.

I. სოციალისტ-ფედერალისტები მოითხოვენ:

1. სრულ თავისუფლებას სიტყვისა, წერისა, სინიდისისა, კრებებისა, კავშირებისა და ყრილობე-

ბისა, მიმოსვლისა (პასპორტების გაუქმება) და გაფიცვისა; ხელ-შეუხებლობას პიროვნებისა და ბინისას და მიწერ მოწერის საიდუმლოების დაცვას; სრულ თანასწორობას განუზღვევლად სქესისა, სარწმუნოებისა, ეროვნებისა; გაუქმებას წოდებისას.

2. შემოღებას ხალხური წარმომადგენლობითი მართველობისას, რომელიც დამყარებული უნდა იყოს საყოველთაო, პირდაპირ, თანასწორ და ფარულ საარჩევნო უფლებაზე. პროპორციონალურ წარმომადგენლობას; რესპუბლიკის დაწესებას, პირდაპირ სახალხო კანონმდებლობას (რეფერენდუმი) და ხალხის საკანონმდებლო ინიციატივას.

3. ა) ფართო საკანონმდებლო და საადმინისტრაციო დეცენტრალიზაციას; სახელმწიფოს ფედერატიულად მოწყობას.

ბ) ფედერაციის შემადგენელ ნაწილებს ან ავტონომიებს უფლება აქვთ შეადგინონ დროებითი ან სამუდამო კავშირები საერთო საქმეების გასაძღოლად.

გ) სრულიად რუსეთის ფედერაციის დამყარებამდე ს. ფედერალისტთა პარტია მოითხოვს დღესვე საქართველოსათვის ეროვნულ ტერიტორიალურ ავტონომიას.

4. დემოკრატიზაცია ადგილობრივ სახელმწი-



ფოებრივ დაწესებულებათა; ფართო ადგილობრივი თვითმართველობა; სახელმწიფო მოხელეების არჩევნები, ნაცვლად დანიშვნისა მთავრობის მიერ. შემოღება ადგილობრივ დაწესებულებებში ადგილობრივ მცხოვრებთა ენისა; ნაციონალურ უმცირესობის კულტურულ — განმანათლებელ საქიროებისთვის გადადება საერთო ფულიდან განსაზღვრულ ნაწილისა და ამ თანხის გადაცემა ნაციონალურ უმცირესობის განკარგულებაში.

5. სხვა რეფორმების განხორციელებასთან ერთად უნდა შეიცვალოს ადგილობრივი მმართველობის წესებიც. საადმინისტრაციო მმართველობის ნაცვლად შექმნილ უნდა იქმნას თვითმართველობა; თვით-მართველობას უნდა ექვემდებარებოდეს ყველა ადგილობრივი საქმე, გარდა იმ საქმეებისა, რომელსაც მთელ სახელმწიფოსათვის საერთო მნიშვნელობა აქვს. ადგილობრივ თვით-მმართველობის მოქმედება მიმართული უნდა იყოს მცხოვრებთა კულტურულ განვითარებისაკენ და საზოგადო სამსახურის საქმეების გასაზოგადოებისაენ.

6. გასამართლება ყველა მოხელისა უკანონო მოქმედებისათვის საზოგადო წესით; ყველა ადამიანს შეუძლია სამართალში მისცეს მოხელე უკანონო მოქმედებისათვის. გადაყენება მოხელეებისა სასამართლოს დადგენილებით.

7. სწავლება ყველასათვის უფასო საყოველთაო
თაო, სავალდებულო საერო განათლება 16 წლამ-
დის; სავალდებულო საყოველთაო პროფესიონალუ-
რი განათლება ყველა მოზარდისათვის: ყველამ აუ-
ცილებლად ბავშვობაშივე უნდა შეისწავლოს ერთი
რომელიმე გვარი ხელობა მაინც. სკოლების საქმეს
ადგილობრივი თვით-მართველობა უნდა აწარმოებ-
დეს.

8. განცალკევება ეკლესიისა სახელმწიფოსაგან.

9. გაუქმება მუდმივბს ჯარების და დაწესება
სახალხო ანუ საერო ლაშქრისა (მილიცია).

სოციალ-დემოკრატები

მოათხოვენ, რომ

რუსეთში დამყარდეს დემოკრატიული რესპუბ-
ლიკა, რომლის კანონებმა უნდა უზრუნველჰყოს:
1) თვითპრობელობა ხალხისა, უმაღლესი საკანონ-
მდებლო უფლობა უნდა იქნეს საკანონმდებლო
კრებულის ხელში, რომელიც შესდგება ხალხის წარ-
მომადგენლებისაგან და წარმოადგენს ერთს პალა-
ტას. 2) საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი
საარჩევნო უფლება ყველა მოქალაქესათვის, ქალი-
სა და კაცისათვის, რომელსაც შეუსრულდა ოცი



წელიწადი, როგორც საკანონმდებლო კრებულთა
 თვის ისე ადგილობრივი თვითმართველობისათვის;
 დახურული კენჭის ყრა; ყოველ მოქალაქეს უფლე-
 ბა აქვს არჩეულ იქნეს; პარლამენტი არჩეული იქ-
 ნება ორი წლის ვადით; ხალხის წარმომადგენლებს
 ექნებათ ჯამაგირი. 3) ფართო ადგილობრივი თვით-
 მართველობა; საოლქო თვითმართველობა იმ ად-
 გილებისათვის, რომლებიც განსხვავდებიან განსა-
 კუთრებული პირობებით და მცხოვრებთა შედგენი-
 ლობით. 4) ხელშეუხებლობა პიროვნებისა და ბი-
 წისა. 5) განუსაზღვრელი თავისუფლება სინდისი-
 სა, სიტყვისა, ბეჭდვისა, კრებისა, გაფიცვისა და
 კავშირებისა. 6) თავისუფლება მიმოსვლისა და ხე-
 ლობა წარმოებისა. 7) მოსპობა წოდებისა და სრუ-
 ლი თანასწორობა მოქალაქეებისა განურჩევლათ
 სქესისა, სარწმუნოებისა, ჩამომავლობისა და ეროვნ-
 ნებისა. 8) მცხოვრებლებს უფლება აქვთ მიიღონ
 განათლება დედაენაზე, რისთვისაც სახელმწიფომ
 და ადგილობრივმა თვითმართველობამ უნდა გახს-
 ნან საჭირო სკოლები; ყოველ მოქალაქეს უფლება
 აქვს ილაპარაკოს კრებაში თავის დედაენაზე; სა-
 ხელმწიფო ენასთან ერთათ დედაენა უნდა იხმარე-
 ბოდეს ყველა ადგილობრივ, საზოგადოებრივ და
 სახელმწიფო დაწესებულებებში. 9) რუსეთში მყოფ



ერებს აქვთ თვით გამოკვლევის უფლება. 10) ველ მოქალაქეს შეუძლია, ნატიც მსაჯულოთა სამართალში გამოიწვიოს ყოველივე მოხელე. 11) მოსამართლეების არჩევა. 12) მუდმივი ჯარის მაგიერ საყოველთაო შეიარაღება ხალხისა. 13) განცალკევება ეკლესიისა სახელმწიფოსაგან და სკოლისა ეკლესიისაგან. 14) უფასო და სავალდებულო საზოგადო და პროფესიონალური განათლება ორივე სქესის ბავშვებისათვის. 16 წლამდის; ღარიბ ბავშვებს სახელმწიფოს ხარჯით უნდა მიეცეს საჭმელი, ტანისამოსი და სასწავლო ნივთები.

სოციალისტ-რევოლუციონერები

მოითხოვენ, რომ აღიარებულ იქნეს ადამიანის და მოქალაქის აუცილებელი უფლებანი: სრული თავისუფლება სინდისის, სიტყვის, ბეჭდვის, კრების და კავშირების; თავისუფლება მიმოსვლისა და ხელობისა, გაფიცვისა; ხელშეუხებლობა პიროვნებისა და ბინისა; საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და დახურული საარჩევნო უფლება ყველასათვის, ვისაც შეუსრულდა 20 წელი, განურჩევლათ სქესისა, სარწმუნოებისა და ეროვნებისა; დამყარება დემოკრატიული რესპუბლიკისა ოლქე-

ბის და სასოფლო და საქალაქო თემების ფართო
 ავტონომიით; რაც შეიძლება მეტი ფედერატიული
 ურთიერთობის დამყარება ცალკე ერებს შორის,
 ამასთანავე ყოველივე ერს თვითგამორკვევის უფ-
 ლება აქვს; პროპორციონალური წარმომადგენლო-
 ბა; პირდაპირი სახალხო კანონმდებლობა (რეფე-
 რენდუმი და ინიციატივა); ყოველი თანამდებობის
 კაცი უნდა არჩეულ იქნეს, ყოველი თანამდებობის
 კაცი შეიძლება გადაყენებულ იქნეს და პასუხის-
 გებაში მიცემული, აგრეთვე დებუტატიც და მო-
 სამართლეც; უფასო სამართალი; დედაენის შემო-
 ღება ყველა ადგილობრივ, საზოგადოებრივ და სა-
 ხელმწიფო დაწესებულებებში; სავალდებულო, ყვე-
 ლასათვის თანასწორი საერო განათლება სახელმწი-
 ფოს ხარჯით; იმ ადგილებში, საცა სხვა-და-სხვა
 ერია ერთანეთში არეული, ყოველს ერს უნდა მი-
 ეცეს თავის რიცხვის მიხედვით ნაწილი კულტური-
 სა და განათლებისათვის დანიშნულ ბიუჯეტიდან
 და ეს ფული უნდა მოიხმაროს თვითმართველობის
 უფლებით; სრული განშორება ეკლესიისა სახელ-
 მწიფოსაგან, სარწმუნოება ყოველი ადამიანის პი-
 რადი საქმეა; გაუქმება მუდმივი ჯარისა და ხალხის
 შეიარაღება.

საკონსტიტუციო დემოკრატები მოითხო-

ვენ, რომ დამყარდეს რუსეთში საკონსტიტუციო მონარქია.

სახალხო წარმომადგენლები არჩეულ უნდა იქმნენ საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და დახურულ კენჭის ყრით; კენჭის უფლება აქვს ყველას განურჩევლათ წოდებისა, სარწმუნოებისა, ეროვნებისა და სქესისა. ხალხის წარმომადგენლები მონაწილეობას იღებენ კანონმდებლობაში, სახელმწიფოს შემოსავალ გასავლის დაწესებაში და მთავრობის მოქმედების კონტროლში. ხალხის წარმომადგენლებს ეკუთვნის საკანონმდებლო ინიციატივა. მინისტრები პასუხის მგებელნი არიან ხალხის წარმომადგენელთა წინაშე.

(ეს პარტია ბურჟუაზული პარტია).

IV. საადგილ-მამულო საქმე.

1. ვის რამდენი მიწა აქვს რუსეთში.

ამ ოც-და-ათი წლის წინათ შიდა რუსეთის 49 გუბერნიაში ითვლებოდა 391.000.000 დესეტინა მიწა; აქედან ხაზინისა იყო—150.400.000 დეს., მეფის გვარეულობის (საუფლისწულო)—7.400.000 დეს., ეკლესია მონასტრების—8.500.000 დეს., გლეხების—131.400.000 და კერძო მემამულეების—93.400.000 დეს.

დღეს გლეხების სიღარიბის უმთავრესი მიზეზი — უმიწობაა. ბატონ-ყმობის დროს გლეხებს მეტი მიწა ჰქონდათ ხელში. 1860 წელს თითო სულს გლეხს ჰქონდა 5 დესეტინა მიწა. 1880 წ. კი თითო სულს ჰქონდა $3\frac{1}{2}$ დეს. და 1900 წელს მხოლოდ $2\frac{1}{2}$ დეს. დღეს კიდევ უფრო ნაკლები აქვს. არის ისეთი ადგილები, სადაც თითო გლეხს ერთი დესეტინა შეხვდება, ზოგან კიდევ მხოლოდ ერთი მეხუთედი დესეტინა.

წოდების მიხედვით მიწა ასეა განაწილებული:



საშუალოთ თითო ვაჭარს აქვს 759 დეს., თა-
ვად-აზნაურს—598, მოქალაქეს—43, გლეხს—2—3
დესეტინა.

გლეხების განთავისუფლების დროს 10¹/₂ მილ.
ნაბატონარ გლეხში მიწა საყოფნზე მეტი მიეცა
მარტო 1¹/₂ მილიონს, საყოფნი მიეცა—4¹/₂ მილი-
ონს და საყოფნზე ნაკლები—4¹/₂ მილ.—გარდა ამი-
სა ერთ მილიონამდე გლეხს თითქმის სრულიათ არ
მიუღია მიწა.

2. რა ღირდა გლეხების „ნადელი“.

გლეხებმა რომ მიწა მიიღეს განთავისუფლების
დროს, ღირდა 600 მილიონი მანეთი, მაგრამ გლე-
ხებს დაუფასეს 867 მილ. მან. გარდა ამისა ამ ფულ-
ში სარგებელიც გადაახდევინეს გლეხებს. სულ „სა-
ნადელო“ მიწაში გლეხებმა გადაიხადეს 1500 მილ.
მან. და მიწა ჯერ კიდევ მთლიან არა აქვთ გამო-
ყიდული. სახელმწიფო გლეხებმაც დაიწყეს შემდეგ
თავის მიწის გამოყიდვა და უკვე გადაიხადეს 1000
მილიონამდე.

3. იჯარა და მიწის ფასი.

რაკი საკუთარი მიწა არ ყოფნის გლეხს, იძუ-



ლებულია სხვისი მიწა აიღოს იჯარით. 1890 წელს გლეხებს ჰქონდათ საიჯაროთ აღებული 10 მილ. დეს. შიდა რუსეთის გუბერნიებში გლეხები ყოველ წელიწადს იხდიან იჯარას 300 მილ. მან., თითო კომლი 25 მან.—იჯარა ძალიან მატულობს, ახლა იჯარა ორჯელ-სამჯერ მეტია, ვიდრე იყო ამ ორ-მოცი წლის წინათ. საშუალოთ იჯარა წელიწადში დესეტინაზე 3 მან. 6 კაპ. ანუ ოთხი მეხუთედი წმინდა შემოსავლისა.—იმატა, რასაკვირველია, მიწის ფასმაც: 1863 წელს მიწა რომ 14 მან. ღირდა, ახლა 48 მან. ღირს.

4. მოსავალი.

ერთი დესეტინა იძლევა ჰურის მოსავალს:

	ფუტს		ფუტს
იტალიაში . . .	58	შვეიცარიაში . . .	95
გერმანიაში . . .	78	იაპონიაში . . .	115
საფრანგეთში . . .	80	ინგლისში . . .	123
ამერიკაში . . .	83	ბელგიაში . . .	128

რუსეთში კი—39 ფუტს. ამის მიზეზი ისაა, რომ რუსეთში მიწა ნაკლებათაა მონაკლული, მიწის დამუშავებაც არ იციან კარგათ, სწავლა-განათლება არაა გავრცელებული, მთავრობა ხალხს ავიწროვებს და ჰბორკავს თავისუფლებას.



5. მიწის მფლობელობა ჩვენში. სტატისტიკური მონაცემები

გუბერნიები და მაზრები.	მიწის სა- ერთო სივრ- ცე ლექტ.	აქედან აქვთ.	
		გლეხებს	სხვების.
		ლექტ.	ლექტ.
ტფილისის გუბერნია:			
ტფილისის მაზრა.	376909	104379	272530
ახალქალაქის „ .	249255	122157	127098
ახალციხის „ .	243018	94078	148940
ბორჩალოს „ .	594900	141298	453602
გორის „ .	919061	51992	867069
დუშეთის „ .	359508	74441	285067
სიღნაღის „ .	510695	204106	306589
თელავის „ .	230976	38173	192803
თიანეთის „ .	443583	234050	209538
სულ გუბერნიაში.	3927910	1064674	2864236
ქუთაისის გუბერნია:			
შორაპნის მაზრა .	275899	36129	239764
ქუთაისის „ .	311249	?	?
რაჭის „ .	260594	11928	248666
ღვინჯულის „ .	433971	7345	426626
სენაკის „ .	182462	?	?
ზუგდიდის „ .	248220	?	?
ოზურგეთის „ .	196512	17039	179473
სულ გუბერნიაში.	1908901	262697	1646206

ამ უამად საშუალოთ მოდის თითო კომლზე.
სახელმწ. საბატო- ჩიხანზე. მემამული
გლებზე ნოზე. გლებებზე

ტფილ. გუბ. 10,92 დ. 1,69 დ. 3,60 დ. 11,40 (?) დ. ვარგე-
ბული მიწა
ქუთ » 3,36 » » 1,93 » 2,52 დ. ვარგებუ-
ლი სიწა.

მიწის დიდი სივიწროვება განსაკუთრებით ქუ-
თაისის გუბერნიაში. კავკასიის არც ერთ გუბერ-
ნიაში ისე ცოტა მიწა არ მოდის საშუალო ანგა-
რიშით თითო კომლ გლებზე, როგორც ქუთაისი-
საში, იმერეთის გლებობა შიმშილით ამოწყდებოდა,
რომ მარტო მიწის მოსავალზე იყოს მიჩერებული.
მაგრამ იმერეთის ხალხი სასოფლო მეურნეობის
გარდა სხვა საქმეებსაც ჰკიდებს ხელს: იწყებს
წვრილად ვაჭრობას, მიდის ქალაქებში, იჩენს
დღიურ ან თვითურ სამუშაოს და ამნაირად თავსაც
ინახავს და შინ ოჯახსაც ეხმარება. რამდენიც დრო
მიდის, იმდენად სოფელში ცხოვრება გასაჭირი
ხდება და სოფლის ზედმეტი ხალხი იძულებულია
ქალაქებში წავიდეს და იქ ეძიოს სამუშაო და თა-
ვის სარჩენი.

I. მთელი რუსეთის გლეხების კავშირის

დადგენილება (1905 წ. 6—10 ნოემბერს) მიწის
შესახებ

1. ხალხის გაჭირება, რომელიც წარმოდგება უმიწაწყლობისაგან, შეიძლება მოისპოს მხოლოდ მაშინ, როდესაც მთელი მიწა იქნება მთელი ხალხის საზოგადო საკუთრება და მიწით ისარგებლებს მარტო ის, ვინც დაამუშავებს მიწას საკუთარის და თავის ოჯახის ძალ-ღონით და არა დაქირავებული მუშის შემწეობით.

2. მტკიცე, სამართლიანი და ხალხის სურვილის თანახმად მიწის მოწყობის საქმე უნდა დააკანონოს დამფუძნებელმა კრებამ, რომელიც მოწვეული იქნება სახელმწიფოს ძირითად კანონების შესამუშაველათ დამფუძნებელი კრება უნდა არჩეულ იქნეს საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და დახურული კენჭის ყრით და არჩევნებში მონაწილეობა უნდა მიიღოს მთელმა ხალხმა განურჩევლათ სქესისა, ეროვნებისა და სარწმუნოებისა, ყოველმა ასი ათასმა მცხოვრებმა უნდა აირჩიოს ერთი წარმომადგენელი.

3. დამფუძნებელმა კრებამ აუცილებლივ უნდა

გადაწყვიტოს მიწის საქმე ხალხის სასარგებლოდ, თანახმათ ხალხის მოთხოვნისა.

4. ერთ საგლებო კავშირში შეერთებული გლეხობა თავისას გაიტანს და მისი მოთხოვნა შესრულებული იქნება.

5. გლეხების გამძლოლი და მათი ინტერესების დამცველია გლეხთა საყოველთაო კავშირი.

6. მიწას ხალხის ხელში გადაცემის დასაჩქარებლათ გლეხების კავშირი ადგენს: ა) სრულებით არ იყიდონ მიწა მემამულეებისაგან, ბ) არ აიღონ მიწა იჯარით, გ) არავითარი პირობა არ შეუკრან მემამულეებს მიწის შესახებ, დ) თუ ხალხის მოთხოვნილებანი არ იქნა შესრულებული, გლეხების კავშირი დაიწყებს გაფიცვას.

პარტიების პროგრამა მიწისა და გლეხების შესახებ.

II. სოციალისტ-ფედერალისტების პროგრამა.

სოციალისტ-ფედერალისტების საადგილ-მამულო პროგრამის საფუძველს შეადგენს მიწის კერძო საკუთრების გაუქმება და ხალხის საერთო კუთვნილებათ გამოცხადება.

ა) ხაზინას, ეკლესიას, მონასტრებს, მეფეს, მე-

ფის გვარეულობას და მსხვილ მემამულეებს რევოლუციონურის საშუალებით, გამოუსყიდველათ, უნდა ჩამოერთვას და გადაეცეს წვრილ და მსხვილ ტერიტორიალურ *) ერთეულებს.

შენიშვნა: ქალაქის საზღვრებში მდებარე მიწა უნდა ჩამოერთვას კერძო შესაკუთრებებს და გადაეცეს საქალაქო თვითმართველობას.

ბ) სოც.-ფედერალისტების პარტია ყოვლის უწინარეს იმას ეცდება, რომ ამ მიწების დამუშავება საერთო შრომით სწარმოებდეს და რომ ნაყოფი ამ საერთო შრომისა განაწილდეს შრომის მიხედვით.

გ) სადაც საერთო შრომის განხორციელება ჯერ ჯერობით შეუძლებელი აღმოჩნდება, იქ პარტია მხარს დაუჭერს, ჩამორთმეული მიწები სახალხო ფონდათ (თანხათ) იქნეს აღიარებული და ნაჭერ-ნაჭერათ გაიციეს დასამუშავებლათ, იმ პირობით კი, რომ არავის არ მიეზომოს იმაზე მეტი მიწა, რის დამუშავებაც თავის საკუთარის ძალ-ღონით შეუძლია.

*) ტერიტორია არის ადგილი, მაგალითათ საქართველოს ტერიტორია ჰქვია იმ ადგილს, რომელიც უკავია საქართველოს.



დ) იმ წვრილ მესაკუთრეებს, რომლებიც თვითონ ან თავის ოჯახის შემწეობით აწარმოებენ (დაამუშავებენ) თავის მიწას, მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩამოერთმევა მიწა საერთო მფლობელობაში გადასაცემათ, თუ ეს მესაკუთრენი ამის თანხმობას გამოაცხადებენ. ყოველ შემთხვევაში აკრძალულია მიწის ყიდვა-გაყიდვა. საშუალო რაოდენობის მამულის პატრონებსაც ჩამოერთმევათ მიწა—გარდა იმისა, რომელსაც საკუთარის ძალ-ღონით დაამუშავებენ.

3. სოციალისტ-რევოლუციონერების ზრდასამა:

სოციალისტ-რევოლუციონერების პარტია თავის პროგრამას საადგილ-მამულო ურთიერთობის შესახებ ამყარებს რუსის გლეხობის ცხოვრების პირობებზე და მის სათემო შეხედულობაზე, განსაკუთრებით რუსის გლეხობაში გავრცელებულ შეხედულობაზე, რომ მიწა არავისია და მიწით უნდა ისარგებლოს მხოლოდ იმან, ვინც მუშაობს. პარტია იცავს მიწის სოციალიზაციას (გასაზოგადოებას), მიწა აღარ უნდა იყოს სავაჭრო საქონელი, უნდა ჩამოერთვას კერძო მესაკუთრეებს და გადავიდეს სახალხო თვითმართველობის ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანოების ხელში; მიწის სარგებ-

ლობა უნდა იყოს შრომის კვალობაზე, ესე იგი მიწა მიეცემა ყველას იმდენი, რამდენიც საყოფნია მისთვის და რამდენის დამუშავებაც შეუძლია საკუთარის ძალ-ღონით ან სხვებთან შეამხანაგებით; რენტა, განსაკუთრებული გადასახადის შემწეობით, უნდა მოხპარდეს საზოგადო საჭიროებას; იმ მიწების სარგებლობის მოწესრიგება, რომლებსაც მართო ადგილობრივი მნიშვნელობა არა აქვს, იქნება უფრო დიდი თვითმართველობის ორგანოების ხელში; მიწის გული ეკუთვნის სახელმწიფოებს; მიწა გადადის სახალხო საკუთრებათ გამოუყიდველათ; ვინც დაზარალდება მიწების ჩამორთმევით, მას შეუძლია დახმარება მოითხოვოს საზოგადოებისაგან, სანამ შეეჩვევოდეს ახალი ცხოვრების პირობებს.

4. სოციალ-დემოკრატების პროგრამა.

ბატონ-ყმობის ნაშთების მოსასპობათ, რომლებიც მძიმე უღლათ აწევს გლეხებს და კლასობრივი ბრძოლის თავისუფალი განვითარებისათვის სოფელში, სოციალ-დემოკრატების პარტია მოითხოვს: 1) გლეხების საკუთრების და პიროვნების ყოველგვარ შევიწროვების გამუქმებას.

2) იმ გადასახადების და ბეგრის გაუქმებას,



რომლებიც დამოკიდებულია გლეხების წილებზე, განცალკევებაზე და ისეთი სესხის ხელშეკრულობის მოსპობას. რომელსაც დამონავებული ყავს გლეხის

3) უნდა ჩამოერთვას მიწები ეკლესია-მონასტრებს, მეფეს და მეფის გვარეულობას და ეს მიწები, აგრეთვე სახელმწიფო მიწები უნდა გადაეცეს ადგილობრივ თვითმართველობის მსხვილ (დიდ) ორგანოებს, რომლებიც შეაერთებენ საქალაქო და სასოფლო ოლქებს; ამასთან ის მიწები, რომლებიც საჭიროა ხალხის გადასასახლებლად და აგრეთვე ტყე და წყალი, რომლებსაც საზოგადო-სახელმწიფო მნიშვნელობა აქვს, გადადის დემოკრატიული სახელმწიფოს მფლობელობაში.

4) უნდა ჩამოერთვას კერძო მემამულეებს (გარდა წვრილებისა) მიწები და გადაეცეს ადგილობრივ თვითმართველობის დემოკრატიული წესებით არჩეულ მსხვილ ორგანოებს; თუ რამდენი მიწა უნდა ჩამოერთვას მემამულეებს და რამდენი დარჩეს მათ ხელში, ამას გამოიკვლევს ესევე ორგანოები.

პარტია მხარს უჭერს-რა გლეხების რევოლუციონურ მოძრაობას, მუდამ შეურყეველათ წინააღმდეგობას გაუწევს ყველაფერს, რაც კი ეცდება ხელი შეუშალოს ეკონომიურ განვითარებას. პარტია ეცდება ძლიერამოსილი რევოლუციის დროს ჩა-

მორთმეული მიწები გადასცეს ადგილობრივი თვით-მართველობის დემოკრატიულ ორგანოებს, ხოლო თუ ეს მოუხერხებელი იქნა, მაშინ პოლითხოვს, რომ გლეხებს კერძო საკუთრებათ დაურიგდეთ მემამულეების ის მიწები, რომლებზედაც წვრილი წარმოება (მეურნეობა) არსებობს ან რომლებიც საჭიროა ამ წვრილი მეურნეობის ადგილის მოსარგვალე-ლათ. ამასთან ერთად პარტიას ყოველ შემთხვევაში ღ ყოველ დემოკრატიულ—საადგილ-მამულო ცვლი-ლების დროს თავის დანიშნულებათ მიაჩნია, ეცადოს შეურყევლათ, შექქმნას სოფლის პროლეტარიატის დამოუკიდებელი კლასობრივი ორგანიზაცია (მო-წყობა), აუხსნას მისი და სოფლის (გლეხების) ბურ-ჟუების ინტერესების შეურიგებელი წინააღმდეგობა, გა-აფრთხილოს, რომ არ მოტყვილდეს წვრილი მეურ-ნეობით, რომელიც, სანამ ვაჭრული წარმოებაა, ვერასოდეს ვერ მოსპობს ხალხის სიღატაკეს, და უჩვენოს, რომ სოციალიზმი იხსნის მხოლოდ ხალხს სიღარიბისა და გაყვლეფისაგან.

(ამის გარდა 1906 წელს სოც.-დემოკრატების კრებამ დაადგინა გლეხების მოძრაობის შესახებ: გლეხობა, რომელიც იბრძვის მიწისთვის და პოლი-ციურ-ბიუროკრატიულ მთავრობის მოსასპობათ, არის დღეს სარევოლუციო წოდება; ახლანდელი

სახელმწიფოს წეს-წყობილების მოსასპობათ საჭიროა, რომ გლახობამ მიიღოს მონაწილეობა რევოლუციაში; გლახობის მოძრაობა წვრილ-ბურჟუაზიულია, სოფელში უკვე გაჩნდა პროლეტარიატი, მაგრამ ბრძოლა პროლეტარიატსა და სოფლის ბურჟუაზიას შორის არ არის გამოაშკარავებული იმის გამო, რომ დღეს ორივეს სჩაგრავს საერთო მტერი ბატონ-ყმური წეს-წყობილება. ამისათვის გლახებს უნდა ავუხენათ, რომ მათი ქონებრივი მდგომარეობის გაუმჯობესობა შეუძლებელია, თუ არ გამოიცვალა სახელმწიფო მართველობა; უნდა შევადგინოთ, სადაც შესაძლებელია, სოფლის წმინდა (პროლეტარების და ნახევარ პროლეტარების) მუშების კავშირები და ამასთანავე ხელი შეუწყოთ მთელი გლახობის, ყველა გლახების ერთათ შეკავშირებას საერთო მიზნის—მიწის და თავისუფლებისათვის).

5. საკანსტიტუციო—დემოკრატიული (სახალხო თავისუფლების) პარტიის პრეგრამა:

უნდა გაფართოვდეს იმ მკვიდრთა მიწის სარგებლობა, რომლებიც საკუთარის ძალ-ღონით დაამუშავებენ მიწას, ესე იგი უმიწო და მცირე მიწის პატრონი გლახების და სხვა წვრილი მეურნეების

მიწის სარგებლობა—სახაზინო, სამეფო, საუფლის-
წულო და სამონასტრო მიწებით და აგრეთვე იმ მი-
წებით, რომლებიც უნდა ჩამოერთვას—რამდენიც
საჭირო იქნება—კერძო მემამულეებს, ხოლო იმ
პირობით, რომ ჩამორთმეულ მიწებში მიეცეს დღე-
ვანდელ პატრონებს ფასი სამართლიანის შეფასე-
ბით.—ჩამორთმეული მიწები ჩაირიცხება სახელმწიფო
—საადგილ-მამულო თანხათ. თუ რა პირობით უნდა
გადაეცეს მიწა მცხოვრებლებს (მფლობელობა, სარ-
გებლობა, პირადი თუ სათემო), ეს გადაწყდება
ადგილობრივი გარემოების მიხედვით.

წ. კ ა ვ კ ა ს ი ა

და

ს ა მ ა რ თ ვ ე ლ ი.

კავკასიის მხარე გეოგრაფიულად ორ ნაწილად განი-
ყოფება: პირველია იმიერ-კავკასია ანუ ჩრდილოეთ
კავკასია და მეორე იმიერ-კავკასია ანუ სამხრეთ
კავკასია.

კავკასია მდებარეობს სწორედ ორ ზღვა შუა:

ერთს მხრით არის შავი და მეორე მხრივ—კასპი
ზღვა. შავი ზღვიდან მოყოლებული კასპი ზღვამდის
კავკასიას თითქმის შუაზე ჰყოფს უზარმაზარი კავკა-
სიონი მთა-გრებილი. საზოგადოდ უმთავრეს თვი-
სებას კავკასიისას შეადგენს აუარებელი სიმრავლე
მთებისა. სამს წილში თითქმის ორი წილი კავკასიის
ზედა პირისა უკავია მთებს; უმაღლესი მწვერ-
ვალნი კავკასიონის მთებისა არის ყაზბეგი (მყინ-
ვარი), იალბუზი და არარათი. ამ მთებზე და ბევრს
სხვაზედაც მუდამ განუწყვეტელი თოვლი და ყინუ-
ლი სძევს.

ადმინისტრაციულად კავკასია ასე განაწილდება:

ა შ ი ე რ - კ ა ვ კ ა ს ი ა :

1. ტფილისის გუბერნია

შესდგევა 9 მაზრისაგან: 1 ტფილისის მაზრა, 2 ახალციხის მაზრა, 3 ახალქალაქის მაზრა, 4 ბორჩალოს მაზრა, 5 გორის მაზრა, 6 დუშეთის მაზრა, 7 თიანეთის მაზრა, 8 თელავის მაზრა, 9 სიღნაღის მაზრა.

II ზაქათალის ოლქი

III ქუთაისის გუბერნია

შეიცავს 7 მაზრას: 1 ქუთაისის მაზრა, 2 სენაკის მაზრა, 3 ზუგდიდის მაზრა, 4 ლეჩხუმის მაზრა, 5 რაჭის მაზრა, 6 შორაპნის მაზრა, 7 ოზურგეთის მაზრა.

IV. ბათუმის მხარე

შეიცავს: 1 ბათუმის და 2 ართვინის ოლქს.

V. სახუმის ოლქი

VI. ელისავეტპოლის გუბერნია

შეიცავს 8 მაზრას: 1 ელისავეტპოლის (განჯის) მაზრა, 2 ყაზახის მაზრა, 3 ჯევანშირის მაზრა, 4 ზანგეზურის მაზრა, 5 შუშის მაზრა, 6 ჯებრაილის მაზრა, 7 ნუხის მაზრა, 8 არეშის მაზრა.

VII. ერევნის გუბერნია

შეიცავს 7 მაზრას: 1 ერევნის მაზრა, 2 ეჩმიადინის მაზრა, 3 ალექსანდროპოლის მაზრა, 4 ახალბაიაზეთის მაზრა, 5 შარუროდარალაგების მაზრა, 6 ნახიჩევანის მაზრა, 7 სურმალინის მაზრა.

VIII. ბაქოს გუბერნია

შეიცავს 6 მაზრას: 1 ბაქოს მაზრა, 2 ყუბის მაზრა, 3 შემახის მაზრა, 4 გოქჩაის მაზრა, 5 ჯევათის მაზრა, 6 ლენქორანის მაზრა.

IX. ყარსის მხარე

შეიცავს 4 ოლქს: 1 ყარსის ოლქი, 2 არდაგანის ოლქი, 3 ოღთის ოლქი, 4 ყალიშმანის ოლქი.



X. დაღესტნის მხარე

შეიცავს 9 ოლქს: 1 თემირხან-შურის ოლქი, 2 ანდიის ოლქი, 3 გუნიბის ოლქი, 4 ავარის ოლქი, 5 დარგინის ოლქი, 6 ყაზიყუმუხის ოლქი, 7 კაითახოთასაბარის ოლქი, 8 კურიჩის ოლქი, 9 სამურის ოლქი.

XI. ჩეჩნდამარის გუბერნია

ჩ რ დ ი ლ ო მ ე თ - კ ა ვ კ ა ს ი ა .

კუბანის მხარე. თერგის მხარე. სტავროპოლის გუბერნია.

მ ც ხ ო ვ რ ე ბ თ ა რ ი ც ხ ვ ი .

საქართველოს და კავკასიაში.

1897 წ.

I. თბილისის გუბერნია.

1. თბილისი	160,645
2. თბილისისმაზრა	74,186
3. ახალქალაქის	72,881
4. ახალციხის	70,786



5.	ბორჩალოს	128,877
6.	გორის	191,417
7.	დუშეთის	67,519
8.	სიღნაღის	102,494
9.	თელავის	66,883
10.	თიანეთის	34,145
	<u>სულ გუბერნიაში</u>	<u>969,833</u>

II. ქუთაისის გუბერნია.

1.	ქუთაისი	32,492
2.	ქუთაისის მაზრა . .	189,071
3.	ზუგდიდის	114,975
4.	ლეჩხუმის	47,910
5.	ოზურგეთი	90,854
6.	რაჭის	60,542
7.	სენაკის	115,774
8.	შორაპნის	156,201
	<u>სულ გუბერნიაში</u>	<u>807,819</u>

III. სოხუმის ოლქი 105,192

IV. ბათუმის მხარე

1.	ბათუმის ოლქი . . .	88,321
2.	ართვინის ოლქი . . .	56,101
	<u>სულ</u>	<u>144,322</u>

ქუთაისის გუბ., სოხუმის და ბათუმის ოლქებში და თბილისის გუბ. სულ არის 2.027,166.

ელისავეტოპოლის (განჯის) გუბ.	878,185
ბაქოს გუბერნიაში	826,806
ერევნის „	829,550
დაღესტნის „	571,381
ყარსის „	290,654
ჩერნომორის გუბერ.	57,478
ზაქათლის ოლქი.	84,417
<hr/>	
სულ ამიერ კავკასიაში.	5.565,547

ჩრდილოეთ (იმაერ კავკასიაში).

სტავროპოლის გუბ.	873,805
ყუბანის „	1,919,397
თერგის „	932,341
<hr/>	
სულ	3.725,543

რომელ გუბერნიას

რამდენი ადგილი (კვადრატი ვერსი) უკავია

თბილისის გუბ. თბილისის მაზრა—4084, ახალქალაქის—2454, ახალციხის—2377, ბორჩალოს—



6155, გორის—6134, დუშეთის—3480, სიღნაღის
 —5396, თელავის—2206, თიანეთის—4336, სულ
 გუბერნიას—36626.

ქუთაისის გუბ. ქუთაისის მაზრა—3112, ზუგ-
 დიდის—2398, ლეჩხუმის—4360, ოზურგეთის—
 1945, რაჭის—2531, სენაკის—1915, შორაპნის—
 2678, სულ გუბერნიას—18941.

სოხუმის ფაქს—7386. ბათუმის ფაქს—6254.
 სულ ქუთაის. და თბილის. გუბერ. და ბათუმის-
 სოხუმის ოლქებს—69209.

ელისავეტბ. გუბ.—38949, ბაქოს გ.—35017,
 ერევნის—25012, დაღესტნის—26814, ყარსის—
 16869, ჩერნომორის—5994, ზაქათლის—3571.
 სულ ამიერ კავკასიას—221437. ჩრდილოეთ კავკა-
 სიას—194590.

რა ღ რა ხალხი ცხოვრობს კავკასიაში (გარდა უუბან. ღ
 სტაკრმზ. გ.).

ქართველები	1.500.000
სომხები	1.098.800
აფხაზები ღ ჩერქეზები	148.600
ჩაჩნები ღ მათი მონათესავე ხალხები	274.200

ლექები ღ მონათესავე ხალხები	598.800
სპარსელები, ქურთები, თათები	246.500
ოსები	168.400
რუსები	613.800
ბერძნები	83.3000
თათრები ღ ადერბეიჯანელები.	1.532.600
ნოგაელები ღ ყუმიყები . .	122.300
სხები	123.500
სულ	6.497.200

სწავლა განათლება კავკასიასა და საქართველოში.

1901 წელს კავკასიაში იყო სულ 2,955 სასწავლებელი, აქედან სახალხო განათლების სამინისტროს უწყებისა 2,196, ხოლო სხვა უწყებათა 759. ამ სახით ერთ მილიონ მცხოვრებზე მოდის 280 სასწავლებელი ანუ ერთი სასწავლებელი 3,627 მცხოვრებზე და 148,5 ოთხკ. ვერსის სივრცეზე. გუბერნიების მიხედვით:

ტფ. გუბ. ღ ზაქ. ოლქში 1 სკოლა მოდის	2957 მცხ.
ქუთაისის გუბერნიაში	2544 "
ელისავეტბ.	5834 "



ბაქოს	"	"	"	"	7934	"
ერევნის	"	"	"	"	8628	"
ყარსის მხარეში	"	"	"	"	5029	"
დაღესტნ გუბერნიაში	"	"	"	"	31534	"

ეროვნების მიხედვით: ერთი სკოლა უწევს რუსის ხალხში 3,600 სულს, ქართველებში 4,800 სულს, სომხებში 5,400 სულს, თათრებში 17,300 სულს, მთის ხალხებში 11,400 სულს და სხვა პატარა ტომებში 3,700 სულს.

თბილისის, ქუთაისის გუბერნ, ბათუმის და სოხუმის ოლქში იყო 1902 წ. სავაჟო გიმნაზია 5, რეალური სასწავლებელი 2, სამასწავლებლო სემინარია და ინსტიტუტი 5, სამოქალაქო სასწავ. 19, მთიელთა სკოლა 1, ქალთა გიმნაზიები 10, მარიამის სასწავ. 3, კერძო სასწავ. 87, პირველ დაწყებითი სკოლა 462. სულ 597. სამრევლო სკოლა იყო 1901 წ. 584. სასულიერო სასწავლ. 7, სამხედრო სასწავლებელი 3.

ჩვენი ქვეყანა.

დედა-მიწაზედ იშვიათად მოიპოვება ისეთი ბუნებით შემკული ქვეყანა, როგორც ჩვენი საქართველოა. ბუნების სიუხვე, ჰავის ზომიერება, მიწის

ზედაპირის სხვა-და-სხვა ფერობა, მთების, მდინარე-
ბისა და ვაკე ადგილებისა მრავალ ფერობა, ხხვა-და-
სხვა მცენარეთა, ცხოველთა და მადნეულთა სიმ-
დიდრე, — სწორედ ქვეყნიერ სამოთხეთ ჰხდის ჩვენს
ქვეყანას.

საქართველოს საზღვრავს აღმოსავლეთით და-
ღესტნის მთები და ლეკეთი, დასავლეთით — შავი
ზღვა, ჩრდილოეთით — კავკასიონის ქედი და სამხ-
რეთით — სომხეთი. მთელ საქართველოს მიწა-წყალი
შეიცავს ამ ჟამად 69,209 ოთხ-კუთხ ვერსს. სა-
ქართველო განიყოფა სამ უმთავრეს ნაწილად: აღ-
მოსავლეთის, დასავლეთის და სამხრეთის საქართვე-
ლოდ, თითოეულს ნაწილს შეადგენენ ცალკე ნა-
წილები, რომელსაც განსაკუთრებითი სახელი აქვს,
მაგალითად აღმოსავლეთ საქართველოს შეადგენენ:
ქართლი და კახეთი; ქართლშია თრიალეთის მთა,
რომელიც იწყება ბორჯომის ხეობიდან და ჰყოფს
ქართლს ორ ნაწილად — ჩრდილოეთის ნაწილს ჰქვიან
შუა ქართლი, სამხრეთისას ახალციხის მხარე და
ჯავახეთი. კახეთს შეადგენს შემდეგი ნაწილები:
შიგნით და გარეთ კახეთი, (რომელნიც განიყოფე-
ბიან ცივ გომბორის მთით), ქიზიყი, საინგილო,
თუშეთი, ფშავ-ხევსურეთი და თიანეთი. დასავლეთ
საქართველოს ნაწილებია: ზემო და ქვემო იმერე-



თი, რაჭა, სვანეთი, ლეჩხუმი, სამეგრელო, ზაყანო და გურია. სამხრეთ საქართველოს შეადგენს ძველი მესხეთი—მესხეთის ნაწილებია: აჭარა, ქობულეთი, შავშეთი, ერუშეთი, ლივანა და ჭანეთი.

1897 წლის აწერილობით მთელს საქართველოში ითვლება 2.027.166 სული მცხოვრები.

ამ რიცხვში ქართველები არიან 1.500.000.

საქართველოში ქართველების გარდა ცხოვრობენ სომხები, ოსები, ბერძნები, აფხაზები, რუსები, თათრები და სხვ.

მიუხედავად ყოველგვარის ბუნებრივის სიმდიდრისა საქართველოს მკვიდრნი თითქმის ყველა კუთხეში განიცდიან დიდს სიღარიბეს. ამ სიღარიბისა მთავარ მიზეზად უნდა აღვნიშნოთ მიწის სიმცირე.— ჩვენებური გლეხი იძულებულია დაამუშაოს სხვისი მიწა და მოსავლის მეოთხედი აძლიოს მიწის პატრონს, დანარჩენი მოსავალიც იშვიათად ჰყოფნის წლის სარჩოთ. მიწის სივიწროვე იძულებულად ხდის ბევრს მცხოვრებლებს მიატოვონ თავიანთი მამა-პაპეული კერა და გადაიხვეწონ ჩრდილოეთისკენ, როგორც მაგალითათ რაჭაში, რომლის მცხოვრებლები უკანასკნელ დროში ძრიელ ეტანებიან ჩრდილო კავკასიას, ქირაობენ იქ სახელ-



მწიფო მიწებს და იმით არჩენენ ცოლ-შვილს, რად-
განაც მიწის სივიწროვე და უნოყიერობა სამშობ-
ლოში შიმშილით სიკვდილს უქადის. ასე ტანჯ-
ვით ცხოვრებას ატარებს საქართველოს მომე-
ტებული ნაწილი გლეხობა. მათი ცხოვრების
გაუმჯობესება შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა
ყოველ გლეხს ექნება საკმაო მიწა, მიწა იქნება სა-
ერთო კუთვნილება მუშა ხალხისა, როცა გლეხი
განვითარდება, თავს დააღწევს მონობის უღელს,
მოიპოვებს თავისუფალ შრომის უფლებას თავის და
სახოგადო სასარგებლოდ, შეიძლებს თავისუფლად
გამოირკვიოს თავის საქიროებანი, მიიღოს მონაწი-
ლეობა კანონების გამოცემაში და სწვა. მაგრამ ბევ-
რი მიწაც რომ ჰქონდეს გლეხს, მისი სასარგებლოთ
გამოყენება მაშინ შეეძლება მას, როცა აღჭურვი-
ლია შესაფერისი ცოდნით. ამ მხრით საქართველოს
მკვიდრნი დღეს ყოვლად უნუგეშო მდგომარეობა-
ში არიან. დღემდის საქართველოს სკოლები მუ-
დამ გადაბირების გზას ადგა და ვერაფერი სახეირო
ცოდნა ვერ შეძინა ხალხს. მთავრობა განძრახ ცდი-
ლობდა სკოლების ცხოვრებასთან ჩამოშორებას,
ეშინოდა, ხალხი არ დაქკუიანდეს და არ მოინდო-
მოს თავისი ცხოვრების გაუმჯობესობაო.

მიწებიც რომ საკმაოდ დაჯბრუნდეს გლეხობას,



ეს არ კმარა. საჭიროა კარგად მოწყობილი სკოლები, რომლებშიაც უნდა შეიძინონ თანამედროვე ცხოვრების მოთხოვნილების კვალობაზე საჭირო ცოდნა-განვითარება. მაგრამ ვიდრე სკოლები გამოიტანდეს თავიანთ ნაყოფს, დაგვეჭირდება კიდევ რამდენიმე წელი ცდა; საჭიროებამ კი მოთმენა არ იცის. ამიტომ ყველამ თამამად უნდა გასწიოს წინ და ერთი წუთიც არ დაჰკარგოს უბრალოდ და შეეცადოს უკეთესი ცხოვრების მოპოვებას.

სხვა ღვეყნებშიაც წინად ისეთივე ჩაგვრა და ძალმომრეობა იყო მთავრობის მხრით, როგორც ჩვენშია. ხალხმა დააღწია თავი მონობას და მოიპოვა ზოგიერთი თავისუფლება, მაგრამ იქაც მშრომელ ხალხს კაპიტალის უღელი დააწვა კისრად, მდიდრებმა ისევ დაიმონავეს მშრომელი მუშა ხალხი, მაგრამ იქაური მცხოვრებლები ისე მტკიცეთ არიან შეერთებულნი ერთმანეთთან, რომ მალე მოელოიან სრულს განთავისუფლებას მდიდრებისაგან.

ამ მხრით იმათ ძრიელ შევლისთ სკოლები და ურთიერთის დახმარება. საზღვარ-გარეთ დასავლეთ ევროპაში ყველა დიდმა და პატარამ უკვე შეიგნო, რომ მხოლოდ ერთობაში და წყდნაშია ძალა. ერთობამ და ამხანაგურმა კავშირმა ანუ, როგორც უწოდებენ, კოოპერაციებმა დიდი ძალა გამოიჩინა

მდიდრებთან ბრძოლაში, მუშის ცხოვრების გაუმჯობესებაში და ხალხის ნაწარმოების ხალხისავე სასარგებლოდ გამოყენებაში. სკოლამ ისეთი სწავლა მისცა იქ ხალხს, რომ ყველა მშრომელს ადვილად შეუძლიან გაითვალისწინოს და უკეთ მოაწყოს თავისი ცხოვრება. მიწაც იმდენი არ არის იქ, როგორც საზოგადოთ ჩვენში, მაგრამ ცოდნის წყალობით ისეთი მოსავალი მოჰყავთ, რომ ჩვენში ბევრს სიზმრადაც არ მოეჩვენება.

ჩვენი ქვეყნის ერთ სიმდიდრეს სხვათა შორის შეადგენს ხე ტყე, მაგრამ მისი მნიშვნელობა, როგორც დაგვანახა უკანასკნელმა წელმა, ყველა გლახს არ აქვს ცხადათ წარმოდგანილი. განმათავისუფლებელმა მოძრაობამ ჩვენი გლახობა იქამდის მიიყვანა, რომ ბევრს ადგილას სრულიად უთავბოლოდ გაჰკაფეს ტყეები და გაავერანეს მშვენიერი ადგილები. გლახებს უეჭველად არ უფიქრნიათ, რომ დღეს თუ ხვალ დიდი მემამულეებისა, სახელმწიფო—მონასტრის მიწები, რომელიც უმეტეს შემთხვევაში ტყეებით არის მოფენილი, უნდა გადავიდნენ მშრომელი ხალხის ხელში. ამიტომ სამწუხარო იქნება თუ ხალხი თავის სიმდიდრეს არ მოუვლის როგორც რიგია და უთავბოლოდ მოსპობს მას, გაკაფავს ტყეებს უაზროთ და დაუზოგველად.

საზოგადოთ ვის არ ახსოვს ის საშინელი მოვლენა, რომელიც ეწვია ამ რამდენიმე წლის წინად ქვემო იმერეთს წყალდიდობის გამო, რომელმაც წალეკა მთელი მოსავალი და დააზარალა მცხოვრებლები, ამ მოვლენის მიზეზი ტყეების უხეიროდ და უაზროდ გაკაფვა და თუ ამ საგანს არ მივაქციეთ თავის დროზედ საჭირო ყურადღება შესაძლებელია ჩვენი კოპწია და სამოთხის მსგავსი ქვეყანა გავერანდეს და უღაბნოდ გადაიქცეს. ტყეების ხელოვნურად გაშენება და მოვლენა, როგორც ამას შვრებიან ყველგან განათლებულს ქვეყნებში, ჩვენში ჯერ ფიქრადაც არ მოსვლია ჩვენს გლეხობას, რომელიც უფრო უთავბოლოთ სარგებლობს და ანადგურებს ბუნებით შექმნილს ხე-ტყეებს.

ქვეყნის ბუნებითს სიმდიდრეს წარმოადგენს აგრეთვე მდინარეები. ამ მხრით საქართველოს დედა მიწა უხვად ირწყვება მდინარეებით. უმთავრესი მდინარეები მთელს საქართველოშია მტკვარი, რომელსაც ერთვის ქართლში ლიახვი, ქსანი და არაგვი, კახეთში იორი და ალაზანი, ბორჩალოს მაზრაში მდინარე ბორჩალო, ხრამი და ალგელი. დასავლეთ საქართველოშია რიონი ცხენის წყლით და ტეხურით, რომი, ენგური, კოდორი, სუჟსა და ქოროხი. მდინარეებზე მოაქვთ ტივებით ხე ტყე, მი-



მოდიან ნაგებით და გადააქვსთ საქონელი ერთი ადგილიდგან მეორემდის—ქალაქებში. ზოგიერთ ადგილს მდინარეებიდანვე გაყავთ მოსარწყავი რუები და რწყავენ მიწდვრებს გვალვის დროს; თუმცაღა ამას ჩვენში ჯეროვანი ყურადღება არ აქვს მიქცეული, და ბევრგან მოურწყველობის გამო მოსავალი ძრიელ ფუჭდება, მაგრამ იმედია ამასაც მომავალში მიექცევა საჭირო ყურადღება და რაც დღეს ერთი მეურხისათვის კერძოთ შეუძლებელია—იმის შეასრულებს ამხანაგური კავშირები, კოოპერაციები.

საზოგადოთ მეურნეობა საქართველოში ძრიელ ჩამოქვეითებულია, რომელი დარგიც უნდა აიღო: ხენა თესვა, ხეხილის მოშენება, მებაღეშუმეობა, მეფუტკრეობა, ღვინის დაყენება, მებოსტნეობა, საქონლის მოშენება და სხვა.

არც ერთი არ არის სასურველად დაყენებული, თუმცა ყველა ამას საქართველოს ბუნება დიდათ ხელს უწყობს, მაშასადამე მიზეზი მეურნეობის ცუდი მდგომარეობისა ხალხის მოუმზადებლობაა და გაუნათლებლობაა, საქართველოში იშვიათად შეხვდებით რომელიმე კუთხეს, სადაც მიწის გაპოხიერებას, სასუქის მოყრას, მცენარეების რიგ-რიგად თესვას, საუკეთესო სამეურნეო



იარაღების შემოდებას გულმოდგინეთ მისდევდნენ, პირიქით იმერული კავი და ქართლული ხის გუ-
 თანი ეს პირველ ყოფილი ადამიანის იარაღები
 დღესაც ყველვან დიდს ხმარებაშია, თუმცაღა გა-
 მოფიტული ნიადაგი დღეს გაცილებით ნაკლებ მო-
 სავალს იძლევა, ვიდრე იმ დროს, როდესაც ხსე-
 ნებული იარაღები პირველად იქნებოდა შემოდე-
 ბული.

ვაჭრობა და აღებ-მიცემობა ჩვენს ქვეყანაში
 თანდათან ვრცელდება. ამ მხრივ ყველაზე უფრო
 გამჭრიახობას იჩენენ დასავლეთ საქართველოს
 მკვიდრნი. სამწუხაროდ, ისეთი სავაჭრო დაწე-
 სებულნობა, როგორიცაა ქარხნები და ზავოდები, ჯერ
 ჯერობით ახალი ხილია ჩვენში, ამის გამო ადგი-
 ლობრივი ნაწარმოები ჩალის ფასად გააქვთ უცხო
 ქვეყნებში და იქ დამზადებული საქონელი და
 ჩვენში მოტანილი მამასისხლად იყიდება საქარა-
 ველოში ვაჭრობა და აღებ მიცემობა სწარ-
 მოებს შემდეგ ქალაქებში—ტფილისში, ქუთაისში,
 ბათუმში და ფოთში—ეს ორი უკანასკნელი ქა-
 ლაქი, როგორც მდებარე შავი ზღვის ნაპირას წარ-
 მოადგენს საუკეთესო ნავთ სადგურსა, საიდანაც
 ჩვენი ქვეყნის ნაწარმოები გააქვს უცხო ქვეყნებში
 და იქაური ნაწარმოების მზამზარეული საქონლები.

შემოაქვსთ საქართველოში. ამ უმთავრეს ქალაქებს
გ რდა საქართველოში არის პატარა ქალაქებიც,
სადაც ალებ მიცემობა და ვაჭრობა სწარმოებს ად-
გილობრივი და მახლობელ მცხოვრებლების დასა-
კმაყოფილებლათ—ასეთი ქალაქებია კახეთში თე-
ლავი, სიღნაღი და თიანეთი; ქართლში: გორი,
დუშეთი, ახალ-ციხე და ახალქალაქი, რაჭაში—
ონი, გურიაში—ოზურგეთი, სამეგრელოში: ზუგ-
დიდი და სენაკი.

წარსულ წელს განმათავისუფლებელმა მოძრა-
ობამ დიდი სახელი შესძინა საქართველოს. ქართ-
ველმა ხალხმა თვალსაჩინოდ დაანახა ყველას, რომ
იგიც ადამიანია და მასაც უნდა ქვეყანაზედ
ადამიანური ცხოვრება, თავის თავის მოვლა
და პატრონობა, მასაც უნდა, რომ ქვეყანა-
ზედ დამყარდეს ძქობა, ერთობა და თავისუფ-
ლება, მასაც უნდა თავი დააღწიოს სიღარიბეს,
ტანჯულ ცხოვრებას—მოიპოვოს მიწა და თავის-
უფლება და გაიკვლოს გზა ახალის ცხოვრებისაკენ,
ღ დაამყაროს შრომის მეფობა ყოველ ადამიანთა შო-
რის. მაგრამ განა იაფად დაუჯდა ხალხს ამ თავისი
ადამიანური გრძნობის გამომჟღავნება? თავისუფლე-
ბისა და მთელი კაცობრიობის მტრებმა, თავაშუვე-
ბულმა მთავრობის ჯალათებმა ქვა ქვაზედ არ გა-

უშვეს, ცეცხლითა და მახვილით—შეესივნენ წამებულს ქვეყანას, დასწვეს, ნაცარ-ტუტა აადინეს, ქალწულთ ნამუსი ახადეს, მოსპეს და გაანადგურეს ქვეყნის სიმდიდრე, დაუბრუნეს საქართველოს შავი ბედი, დრო აღა-მაჰმად-ხანისა და შაჰ-აბაზისა მოველინა მას აღიხანოვის სახელით და რისხვით, მაგრამ გული ხალხისა ისევ გულად რჩება და ვერავითარი შავი ბედი ვერ შესცვლის და ვერ შეაშინებს, რომ უკან დაიხიოს და ბევრჯერ კიდევ არ შეებრძოლოს უკუღმართს შავ ბედს.

ჩვენმა ხალხმა კარგათ იცის, რომ თავისუფლება ქვეყაზედ ისეთი ხილი არ არის, რომ ადვილათ მოიპოვებოდეს, ან ციდან ჩამოვარდეს, მისთვის საჭიროა მედგარი ბრძოლა და ვინც ბრძოლას არ უკრთის და კურდღელივით ბუჩქებში არ მიძვრება—გამარჯვებაც ადრე თუ გვიან იმას დარჩება.

თავისუფლებისათვის მებრძოლი ხალხი, შეუდგება შინაურ საქმეების მოწყობას, სწავლა განათლების აღორძინებას, სკოლების გამრავლებას და ქვეყნის დაწინაურებას. განთიადის სხივი უკვე მოეფინა ტანჯულ ქვეყანას და შორს არ არის ის დროც, როცა ჩვენი ხალხი ეღირსება ტურფა გაზაფხულს, ძმობის, ერთობის და თავისუფლების დამკვიდრებას.

VI. 'მისანიშნავი ამბები 1905 წ.

იანვარი. დაიწყო მუშების გაფიცვა ბათუმში. 3. გაიფიცნენ ფოთში რკინის გზის მუშები. 4. დაიწყო მუშების გაფიცვა პეტერბურგში.

— კახეთში გლეხები თვითონვე ასამართლებენ ქურდებს და ავაზაკებს, რადგან დაინახეს, რომ მთავრობას აღარ შესძლებია სოფლის პატრონობა. 9. რამდენიმე ათი ათასი მუშა გამოვიდა პეტერბურგის ქუჩებში, უნდოდათ ხელმწიფესთან მისულიყვნენ თხოვნით, მაგრამ მათ წინ ჯარები დახვდნენ, რომლებმაც ათასზე მეტი მუშა მოჰკლეს და დასჭრეს. 11. გაიფიცნენ ახალსენაკში რკინის გზის მუშები. 18. დაიწყო გაფიცვა თბილისში. 19. გაფიცვა ქუთაისში. 23. თბილისში მუშები გამოვიდნენ ქუჩებში ბაირადებით.—გაძლიერებული დაცვის წესები შემოიღეს ქუთაისში, ქუთაისის, შორაპნის, ოზურგეთის და სენაკის მაზრებში. 26. სოფელ დიდჯიხაიშში (ქუთაისის მაზრა) გლეხებმა დე-

მონსტრაცია*) მოახდინეს მთავრობის საწინააღმდეგოთ. მათ შეეტაკენ კაზაკები, რომლებმაც მოჰკლეს ერთი გლეხი და დასჭრეს რამდენიმე. 27. გათავდა გაფრცვა თბილისში. 31. ოზურგეთში მოჰკლეს მომრიგებელი შუამავალი ტრ. ნაკაშიძე.

ოქტებრვალი.—იმერეთში ლამ-ლამობით რკინის გზის მატარებლები არ დადიან. სადგურებზე ჯარები დგანან. ბათუმში ზოგიერთი მუშები კიდევ გაფიცულნი არიან.—გლეხების მოძრაობაა ყველგან საქართველოში.—გურიაში არეულობაა. სასამართლოები დაკეტილია, პოლიცია სამსახურს თავს ანებებს.—ბათუმში ახალ-ჯარებს აგზავნიან.—ოზურგეთში ორი დარაჯი მოჰკლეს და იარაღი წაართვეს.—სოფ. ურიათუბანის (კახეთის) გლეხებმა ძალით გაჩეხეს თავადების ტყე.—6. ბაქოში დამწყობ სომეხ თათართა შეტაკება. 12. ქიათურაში გაიმართა სახალხო კრება. 14. გენერალ ალიხანოვის მეთაურობით გურიაში გაიგზავნა რამდენიმე ათასი ჯარის-კაცი და ზარბაზნები.—ქუთაისში მოხდა შეტაკება ხალხსა და პოლიციას შორის. 17. გურიის ამბების გამოსაძიებლათ გაიგზავნა მთავარმართებლის

*) საჯაროთ გამოსვლა ხალხისა სიმღერით და ბაირაღებით.

საბჭოს წევრი სულთან კრიმ-გირეი.—გაფიცულნი არიან გემების დამტვირთველი მუშები. 18. ხელმწიფემ გამოაცხადა, რომ სახელმწიფო საქმეების საქართველო მოვიწვევ ხალხის წარმომადგენლებს.—ამიერ კავკასიის რკინის გზაზე შემოიღეს სამხედრო დროის წესები.—რკინის გზის მუშები თხოულობენ თავის მდგომარეობის გაუმჯობესებას. 22. სამტრედიისში მძიმეთ დასჭრეს ბოქაული.—იწყება გაფიცვა. 22. კრიმ გირეი იწყებს გურიაში მოგზაურობას. გლეხები უდგენენ თავიანთ მოთხოვნილებებს. კრიმ-გირეი პირველათ სოფ. შემოქმედში მივიდა. გლეხები თხოულობენ თავისუფლებას, სამართალს და მიწას. 23. მეჯვრისხევის (ქართლი) გლეხებმა არეულობა მოახდინეს.—იმართება გლეხების კრებვა. მოძრაობას იწყებენ ქართლის გლეხები. გლეხები სწვავენ მემამულეების სახლ კარებს. 25. ქიათურაში მოჰკლეს ბოქაულის მწერალი და ორი დარაჯი.—ოჩამჩირეში მოჰკლეს მასწავლებელი ბორისხორავა.—შორაპნის მაზრაში გადაწვეს კაცხის და ბოსღევის კანცელარიები.—არეულობა მოახდინეს შორაპნის მაზრაში ხიდარის და ვარძიის გლეხებმა. 28. უწესოება თელავში.

მატე. 3. სამხედრო წესები ოზურგეთის, ქუთაისის, სენაკის მაზრებში და ბათუმის ოლქის კინტ-

რიშის საბოქაულოში. ამ ადგილებს გენ.-გუბერ-
 ნატორათ ინიშნება ალიხანოვ-ავარსკი.—ძლიერდებ-
 ბა გლეხების არეულობა გორის მაზრაში.—ქუთაი-
 სის სასწავლებლები დაკეტილია. 4. გლეხებმა და-
 სწვეს შორაპნის მაზრაში სასოფლო კანცელარიები
 ხარაგაულის, მუხურის, საზანოს, ხრეთის და კვა-
 ლითისა. 5. დასწვეს ეკლესია კვალითშიეე.—ზუგ-
 დიდის მაზრაში სოფ. რიკეში მოხდა გლეხების და
 პოლიციის შეტაკება, მოკლულ იქნა რამდენიმე კა-
 ცი. 7. არეულობა კარაღეთში (გორის მაზრა) და
 ცხინვალში. 8. კრიმ-გირეი უკან დაიბარა მთავრო-
 ბამ.—ქართლ-კახეთში ხშირათ იმართება გლეხების
 ყრილობა.—უწესოება სოხუმში.—იმერეთში დასწ-
 ვეს სულ 16 სასოფლო კანცელარია.—დაკეტილია
 თბილისის სასწავლებლები.—ღუშეთის მაზრაში გლე-
 ხები მემამულეების და ხაზინის ტყეს ჩეხავენ.—და-
 იწვა შორაპნის მაზრის ბეჟათუბნის კანცელარია.
 14. არეულობა გორში, მოჰკლეს ერთი კაცი და
 დასქრეს ათი.—კახეთში გლეხებმა ბევრგან სასოფ-
 ლო სკოლები დაჰკეტეს, რადგან ცუდათ ასწავლიან
 ბავშვებსო.—გორის მაზრაში გლეხების მოძრაობა
 უფრო მწვავედება.—ღუშეთის მაზრის ზოგიერთ სოფ-
 ლებში ჯარი ჩააყენეს.—იწყება გლეხების მოძრაო-
 ბა რაჭა-ლეჩხუმში. 16. არეულობა შინდისში (გო-

რის მაზ.). 17. არეულობა აჩაბეთში (გორის მაზ.).
 —იწყება მოძრაობა ქიზიყში. —სოფ. ბოდბისხევში
 გაიმართა ქიზიყის ყველა სოფლების წარმომადგენ-
 ლების კრება. —ნოქრების გაფიცვა თბილისში. 20.
 გარეკახეთში გაიმართა სოფ. ხაშმის, პატარძეულის,
 საგარეჯოს, ნინოწმინდის, გიორგიწმინდის, მარიამ-
 ჯვარის და სხვა სოფლების გლეხთა ყრილობა. 23.
 ხალხის ყრილობა დუშეთში. 24. შეწყდა სწავლა
 ქუთაისის გუბერნიის ყველა სასოფლო სკოლებში.
 —ალიხანოვ-ავარსკიმ გურიაში ყველგან ჯარები ჩა-
 აყენა და ხალხის დევნა დაიწყო. —მოძრაობა ვრცელ-
 დება სამეგრელოში. —ოჩამჩირეში გადასწვეს საპო-
 ლიცო სამმართველო.

ანალიზი. 1. მთავრობამ ბრძანება გამოსცა, ქუ-
 თაისის გუბერნიაში ყველგან აღდგენილ იქნეს
 სასოფლო-საპოლიცო მართველობა, რომელიც
 ხალმა გააუქმა. —გაფიცვები ხშირია ქალაქებში —
 რკინის გზის მოსამსახურეების, მუშების, ნოქრე-
 ბის. —ერწოში (თიანეთის მაზრა) გლეხების ყრილო-
 ბას თავს დაეცა პოლიცია კაზაკებით და მოჰკლა 4
 კაცი და დასჭრა 20. —სვანეთში თავადებმა გარ-
 დაფხაძეებმა მოჰკლეს შანშე გელოვანი გლეხების
 მოძრაობაში მონაწილეობისათვის. —რკინის გზის
 გაფიცვა. 14. ზუგდიდის მაზრაში მოხდა შეტაკება

ხალხსა და კაზაკებს შორის, მოკლულ იქნა მასწავლებლათ ნამყოფი დ. გეთია. 17. ტირძნისში (გორის მაზ.) კაზაკებმა აიკლეს გლეხები, მოჰკლეს 12 კაცი და მძიმეთ დასჭრეს 15 მღვ. — სამტრედიაში მოჰკლეს ბოქაული და მამასახლისი, რისთვისაც ხალხს შეაწერეს 5500 მანეთი. — ქართლში აბ. კალატოზიშვილის და ზ. აბდუშელიშვილის მეთაურობით შესდგა შავი რაზმი თავად-აზნაურთაგან გლეხების მოძრაობის ჩასაქრობათ. 30. საერთო გაფიცვა ქუთაისში. — ჯარმა ბელოგორში მოჰკლა 3 გლეხი და დასჭრა 7. — შორაპნის მაზრაში 12 სამამასახლისოს გლეხებმა დაადგინეს, იუქმონ 1 მაისი.

მაისი. 1. — ქუთაისში საერთო გაფიცვა იყო, რისთვისაც გუბერნატორმა დააჯარიმა ვაჭრები და მედუქნეები. 11. ბაქოში მოჰკლეს გუბერნატორი. — გლეხების მოძრაობა მოედვა ქართლის ახალს სოფლებს. 25. სოხუმში, როცა ხალხი ბურთს თამაშობდა, თავს დაეცნენ დარაჯები და მატროსები, დაუწყეს ცემა, რამდენიმე კაცი მძიმეთ დასჭრეს. 28. გაფიცვა თბილისში. 29. სახალხო კრებები აფხალაში, მცხეთაში და სხვაგან ქართლში. 31. თბილისში შეკრებილნი ქართლ-კახეთის მღვდლები პოლიციამ და კაზაკებმა გაამათრახეს. — გაფიცვა ქუთაისის სატუსალოში.

იენასი. 2 საყოველთაო გაფიცვა ქუთაისში
 თუმში ხშირია კრებები. ლეჩხუმში შესდგა თავ. - აზნა-
 ურთა რაზმი. 16 გაფიცვა სოხუმის საპრობილეში.
 22—28 საყოველთაო გაფიცვა თბილისში. 22—25
 თბილისში გაისროლეს ყუმბარები, დასჭრეს და
 მოკლეს რამდენიმე კაზაკი და პოლიციელი. 25—
 28 საყოველთაო გაფიცვა ქუთაისში. 27 თბილის-
 ში და თბილისის მაზრაში შემოიღეს სამხედრო წე-
 სები. საყოველთაო გაფიცვა ბათუმში, გორში,
 ოზურგეთში და სხვაგან.

იფლისი. გლეხების მოძრაობა, რომელიც დრო-
 ებით მიწყნარდა ქართლსა და კახეთში, კვლავ გა-
 ძლიერდა. 12, ყუმბარით დასჭრეს პოლიცმეისტერი.
 გორისა და დუშეთის მაზრებში განსაკუთრებული
 გუბერნატორი დაინიშნა. სამეგრელოში შესდგა
 თავად-აზნაურთა მილიცია.

აკვისტო. 1. ქართლში დაარსდა გლეხების მი-
 ლიცია. 3 ქუთაისის გუბ. გაუქმდა სამხედრო წე-
 სები. 7. ქუთაისში მოჰკლეს პოდპოლკოვნიკი რო-
 დეცკი 3 მჭადის ჯვარში (ქართლი) მოხდა შეტა-
 კება ხალხსა და ჯარს შორის, მოჰკლეს რამდენიმე
 გლეხი, 6. გამოვიდა კანონები სახელმწიფო სათათ-
 ბიროს შესახებ. 22 ღვანკითში (შორაპ. მ.) შეტა-
 კება საერობო დარაჯებსა და გლეხებს შორის,



მოჰკლეს 4 გლეხი. გორის მაზრაში გამწვანდნის
 მოკიდულობა გლეხებსა და მემამულეებს შორის;
 მოჰკლეს რამდენიმე მემამულე. 29 თბილისის ქა-
 ლაქის საბჭოს სადგომში საღამოს გამართული იყო
 კრება, თავს დაეცენ კაზაკები, მოჰკლეს 40-ზე
 მეტი და დასჭრეს მრავალი.—ქუთაისას გუბ. სა-
 ხალხო სკოლების მასწავლებლებს საერთო კრება
 ჰქონდათ, შეიმუშავეს ახალი სასკოლო გეგმა.

სექტემბერი. 1. საყოველთაო გაფიცვა თბი-
 ლისში და სხვაგან, 29 აგვისტოს დახოცილთა პა-
 ტივისაცემათ.—ქუთაისში ახალი ჯარი დააბანაკეს.
 —იმართება კრებები ერობის შემოღების შესახებ.
 4. შეტაკება აბაშას სადგურზე ხალხსა და სალდათებს
 შორის. 25 თბილისში საღამოს რამდენსამე ალა-
 ვას კაზაკებს ყუმბარები ესროლეს.—ქუთაისის მაზ-
 რაში ს. უხუთში მოხდა შეტაკება ხალხსა და კა-
 ზაკებ შორის.

ოქტომბერი. ქართლში ლეხურას ხეობაში ჯა-
 რი შემოერთა ოსებს და მოჰკლეს 7 კაცი.—ქარ-
 თლში ეგზეკუციები მეტათ აწუხებს ხალხს.—გო-
 რისა და დუშეთის მაზრაში შეტაკებაა ჯარსა და
 ხალხს შორის. 8 დაიწყო რუსეთის რკინის გზე-
 ბის გაფიცვები. 15 საყოველთაო გაფიცვები დაიწ-
 ყო ჩვენში.—ჯარისა და ხალხის შეტაკება საჯავა-

ხოს ახლო გურიაში. 16 გაიფიცნენ ზოგნი
 მოხელეებიც. 17 გამოვიდა მანიფესტი კონსტიტუ-
 ციისა და თავისუფლებათა შესახებ. 18 ქუჩებში
 იმართება კრებები. 19 დიდი კრება ნაძალსდეგში.
 20 გურიაში ნასაკირალში ხალხი შეებრძოლა კა-
 ზაკებს. 22 თბილისში შავრაზმელმა რუსებმა და
 ჯარმა მრავალი (40-ზე მეტი) უდანაშაულო ადა-
 მიანი დახოცეს.—ბევრი პოლიტიკური დამნაშავე
 გაათავისუფლეს. 25 იბილისში გაზეთები უცენზუ-
 როთ გამოვიდა.—დაიწყო ჩვეულებრივი მუშაობა.
 —გურიაში შეტაკება ხალხსა და ჯარს შორის.
 მთავრობა ახალს ჯარს აგზავნის გურულების წინა-
 აღმდეგ. 29 ქუთაისის გუბერ. ისევ სამხედრო წე-
 სები გამოცხადდა.

ნოემბერი. 2. მთავრობამ ისევ გააუქმა სამხედ-
 რო წესები ქუთაისის გუბ. და გურიაში გაგზავნილი
 ჯარი უკან დაიბარა. გურია დაწყნარდა. 3. ძირუ-
 ლაში ჯარის ვაგონები ერთმანერთს დაეტაკენ, ამის
 გამო ჯარი შეესია სოფელს, მოჰკლა 9 კაცი და
 დასჭრა 40. 13 ფოთში და სხვა ნავთ-სადგურებში
 შემოიტანეს უცხოეთიდან იარაღი. 15 დაიწყო
 ფოსტა-ტელეგრაფის გაფიცვა. 22 დაიწყო სომეხ-
 თათართა შეტაკება თბილისში. 23 კრებები ამის
 შესახებ. შესდგა პარტიების რაზმები. 27 ხალხის
 და ჯარის შეტაკება ქუთაისში.



დეკემბერი. რუსეთში სარევოლიუციო მოძრაობა ხელ-ახლა ძლიერდება. 1 პეტერბურგის მუზეათა დეპუტატების საბჭომ, რუსეთის, პოლონეთის სოციალისტურმა პარტიებმა და გლეხთა-კავშირმა გამოსცეს მანიფესტი, რომლითაც ხალხს იწვევენ აჯანყებისათვის.—იწყება არეულობა ყველგან, ბევრგან ხალხი იარაღით ებრძვის მთავრობას. 10 და იწყო გაფიცვა ამიერ-კავკასიის რკინის გზაზე.—საალყე წესები ქუთაისში და ბათუმში. 12 თბილისში დაიწყო საყოველთაო გაფიცვა.—გაფიცვა სხვა კუთხეებშიც. 14 თბილისში და თბილისის მაზრაში გამოცხადდა სამხედრო წესები. 20 თბილისში პოლიცია და ჯარი ძალათ აღებინებს დუქნებს. 22 ჯარი შეესია თბილისში ბაზარს, ზარბაზნები დაუშინა სახლებს და მრავალი ხალხი დახოცა და დაწვა.—რუსეთში აჯანყება ჩააქრო მთავრობამ.—ჩვენში ყველგან სასტიკი ზომები მიიღო.—ფოსტატელეგრაფის გაფიცვა ნელ-ნელა თავდება.

1906 წ. იანვარი. 3 პირველი სამხედრო მატარებელი გაემგზავრება ბათუმისკენ. აღიხანოვავარსკი გაიგზავნა იმერეთისკენ. იწყება იმერეთის აკლება—აოხრება. ჯარი გაიგზავნა ქართლის ასაკლებათაც.



სენსორალური

ვიზნის მაღაზია

საწყობი, გამომსახელობა და შურნალ-მაგიტიმის
კ. ანტონიძე

„კოლხიდა“

მუთისი.

რეცეპტები: 1. ხელის მძვინვარების მთელი გუბერნიისათვის უგულვალად ადგილობრივ და სატანტო უურნალ-გაზეთებზე სარედაქციო ფასებში.

2. უფლებიანი განცხადებებს ბანკების, სავაჭრო სახელების, კერძო ბიზნის, სასწავლებლების და სხვა დაწესებულებათაგან ქართულ რუსულ გაზეთებში დასაბეჭდათ.

3. საკომისიოთ წიგნებს და წარმომადგენლობის მთელი გუბერნიისათვის ქართულ და რუსულ წიგნების გამომცემელ ფირმებისაგან.

4. უიღობო ყველა ქართულ-რუსულ გაზეთებს და სატანტო უურნალებს ქუთაისში და სოფლათ-აკენტებთან იმ ფასებში, რაც გასეთებს ზედ აწერია.

5. უიღობო მალაზიაში საამდროვე წიგნებს, სხვადასხვა ქვეყნის მთარგმნელ და მთარგმნელ სურათებს შედარებით ფასებში: უკლებს 1—5 მან. საღირსის შეიღველს 10 ზრდ. და მეტს.

6. საკომისიოთ ვაჭრებს საიმედო აკენტებს და ორგანიზაციების წიგნებს 10—20 ზრდ. დაკლებით და გაზეთებს.

ისილორე კვიციანიძე.

მედიკალინა

მედიკალინის ლექსიკონი და ანატომიის

საუბრე სოქრატის

საქართველოს

გამოცემის და აკადემიის გამომცემი აკადემიის და ფასილიტის გამომცემი.

საქართველოს
გამომცემი

ს. 1



კიწმაროვილისა და ამხ.-სს

ქუთაისში, სადაც შეიძლება ყოველგვარი სამეურნეო თესლების შექმნა: იონჯის, კოლინდრის, სამყურის, პურის, სიმინდის, ბეოლის, ეკლის ხის, ლახანის და აბრეშუმის თესლი. იყიდება აგრეთვე გოგირდი, შაბიამანი, ვენახის სარწყავი მაშინა რაფია, ვენახის ნამყენი. კანტორა მოთავსებულია ბალახვანის ქუჩაზე, გუგუშვილის სახლში. წერილის ადრესი: Кутаисъ. Контора Кицмаришвили и К-о.

ბაჟოს წიგნების გამოცემა. ქართ. ამხ.

„კალამისაგან“

წიგნების მალაზიებს გასასყიდლათ დაურიგდა შემდეგი სახალხო ახალი გამოცემანი ამხ.-სა:

- 1) ბელ ლამი, ზღაპარი წყლის შესახებ. 4 კაპ.
- 2) კაბანოვი, ოლქობრივი თვითმართველობა 3 კ.
- 3) „ მიწის კანონმდებლობა ახალ-ზოლანდიაში 4 კ.
- 4) აღ. ნათაძე, ბავშვის მოვლა 25 კ.

იგეგმება: 5) პოსე, ავტონომია და მსოფლიო ფედერაცია. 6) ნაუმოვი, საფრანგეთის ხალხმა როგორ მოიპოვა მიწა და თავისუფლება.

ვინც ამ გამოცემათაგან 10 ცალზედ მეტ დაიბარებს, დაეთმობა 10—20% იღირებ.

უმთავრესი საწყობი გიორგი სალარიძესთან, ტფილისში: Бѣлинская, № 25.

ეკონომიური მაღაზია

საბაყლო, საკოლონო და საგოსტრონომო

საქონლისა

სხვა-და-სხვა სასემელეზისა

მ. ს. საკრაღიძისა

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა .

იყიდება სოფ. ალაგირში პეტრე დავითის ძე მეტრეველთან მრავალგვარი ფოტოგრაფიით გადაღებული სურათები: მთების, მთის ხალხისა და ოსეთის სამხედრო გზის მოსახვევები. გადაღებულია ზომით 13 გავამრავლოთ 18 ქალაღზე.

ადრესი: Алагиръ. Петру Давидовичу Метрели.



„კოლხიდა“

არსებობს 1900 წლიდან. ჰყავს 170-მდე წევრი. პაი ღირს 10 მან. და მისაღები 1 მან. პაის შედენა შეუძლია, ვისაც რამდენი სურს. თავის ექვსი წლის არსებობის ხანაში ამხანაგობას შედენილი და მოწყობილი აქვს: 1) ბალახვანში 3000 კვადრ. საუნაი 10.000 მან. ღირებული საბალე დამუშავებული მამული, რომელზედაც გამართული აქვს 2500 ფუთამდი დამტევი პარკის სახმოები ფარდული, საკანტორე შენობით.

2) იქვე გამართულია საცდელი მინდორი (ОПЫТНОЕ ПОЛЕ) ვენახის, ხეხილების, მინდვრის, საბალე თესლების და ბოსტნეულობისათვის.

3) ამხანაგობას შედენილი აქვს ლოკომობილი (მაშინების ასამოძრავებელი ძალა) და ბამბის სარჩევი 6000 მან. ღირებული მაშინები, რომლებსათვისაც ბამბის ფარდული აქვს გამართული მ. ლაღიძის და ამხ. წყლის ქარხნის გვერდით, ალ. მხეიძის მამულში, ბალახვანის ქ., საურთიერთო ბანკის გვერდით. ამ ქარხანაში ყოველ წელიწადს მუშავდება 8.000—15.000 ფუთამდი ბამბა, ხოლო პარკის ფარდულში ხმება 2.500 ფუთი პარკი. აქ ყოველ სეზონში მუშაობენ 20—60 მუშა ქალ-ვაჟნი მახლობელ ღარიბ მცხოვრებლებიდან. ამ ორგვარ

საქონლის მწარმოებელ ფულებს ოციდან — სამოც
მანეთამდე ამხანაგობა სესხულობს ხან ქუთაისშივე
საურთიერთო ბანკიდან და ხან ბათუმში სახელმწიფო-
ფო და ჩინეთის ბანკებიდან, რომელთაც უგირავებს
დამუშავებულ საქონელს ვაყიდვამდე. თავის ამ ორ-
გვარ საქონელს ამხანაგობა ყიდის: ბამბას მოსკოვ-
სა და ლოდში, ხალო პარკს აგზავენის საზღვარ-გა-
რეთ, მარსელს და ლიონში. ამ და სხვა აპერაციე-
ბიდან რჩება ამხანაგობას ის მოგება — ორიდან ოთხ
მან. ნახევარ წელიწადში პაიზე, რომელსაც იგი
წევრებს ურიგებს, იძენს ქონებას და საქირო ინ-
ვენტარს.

4) ამხანაგობას აქვს გამართული სავაჭრო კან-
ტორა, სადაც მოთავსებულია მისივე გამგეობა,
(რომელსაც შეადგენს თავმჯდომარე, გამგე დირექ-
ტორი და გამგეობის სამი წევრი) ბუღვარის გვერ-
დით, ალექსანდროვის ქ., ზ. კოკოჩაშვილის შენო-
ბაში.

5) ამხანაგობასვე აქვს თბილისის ქ. სიმონო-
ვის შენობაში ღვინოებისათვის სარდაფი, სადაც
ინახება კახელ-მევენახეთა საზოგადოების „კახეთის“
ღვინოები; ამ საზოგადოების წარმომადგენლობა
მთელი გუბერნიისათვის „კოლხიდას“ აქვს მინდო-
ბილი და მათი ღვინოების განყოფილებაც აქ არის
მოთავსებული.

6) ამხანაგობასვე აქვს მთელი გუბერნიისათვის
წარმომადგენლობა ქართლში „სკრის“ მემამულეე-
ბის ძმ. ფრიდონოვების სანერგე ხეხილებისა, რომ-
ლებიც მას ყოველ წელიწადს მოდის გასაფრცვლებ-
ლათ. აგრეთვე იღებს ამხანაგობა დამყნილ ვენახებს

გასაყიდათ იმერეთში ცნობილ კერძო მევენახეების
და დაწესებულებისაგან, მაგ. საქარის სანერგე

ამხანაგობის მიზანია: 1) დაეხმაროს სოფლის
მწარმოებლებს, მეურნე-გლეხებს ყოველგვარ სამე-
ურნეო, გასაყიდ ნაწარმოების, მოსავლის მოუტ-
ყუებლათ გასაღებაში. ამ მიზნით ამხანაგობა ყიდუ-
ლობს ქუთაისში და სოფლათ აგენტების საშვალე-
ბით სოფლების უმთავრეს საბაზრე ნაწარმოებს:
პარკს და ბამბას, ამუშავენს ამას თავის ფარდულსა
და ქარხანაში და გზავნის გასასყიდლათ საზღვარ-
გარეთ და რუსეთში

2) ამხანაგობა ეხმარება აკრეთვე სხვა ამგვარ
ამხანაგობებს და კერძო პირებსაც თავიანთ ნაწარ-
მოებ საქონლის გასაღებაში.

3) ამხანაგობის მიზანია გაავრცელოს ხალხში
სამეურნეო ცოდნა; გაავრცელოს სასოფლო მეურ-
ნეობისათვის საჭირო გაუმჯობესებული სამეურნეო
ტექნიკური იარაღები და ხელი შეუწყოს მეურნეებს
ამ იარაღების შეძენაში.

4) ამხანაგობისავე მიზანია მისცეს მეურნეებს
ან საქონლის დაგირავებით, ან ისე სესხი, ან კიდე
დაეხმაროს მათ სესხის აღებაში სხვა-და-სხვა საკრე-
დიტო დაწესებულებებში.

ზემოაღრე ჩამოთვლილ მიზანთა შესასრულებლათ
ამხანაგობამ გააწყო თავის კანტორაში „ს ა კ ო მ ი -
ს ი ო ბ ი უ რ ო“, რომლის მოქმედება იმაში გამო-
იხატება, რომ დაეხმაროს სოფლის მეურნეებს,
გლეხებს სხვა-და-სხვა იარაღების: სახნავ სათესის,
სამკელი, ვენახის სარწყავ და სხვა მაშინების შეძე-
ნა-გავრცელებაში; მიაწოდოს მათ საუკეთესო შა-



ბიამანი, გოგირდი, საუკეთესოთ მომზადებული და შემოწმებული აბრეშუმის თესლები—გრენა, ბილიკის და დამყნილ ვენახების ნერგები; ადგილობრივთ გამოცდილი, საუკეთესო მინდვრის, საბოსტნე და საბაღე თესლეულობა ადგილობრივ და საზღვარგარეთულ ცნობილ ფირმებისა. ამავე მიზნით ამხანაგობა ყიდულობს ყოველგვარ ხმელ ხილეულობას, ჩილს: ვაშლისა, მსხლის, ქლიავის, ბლის და სხვ. ნიგოზს, თხილს, დაფნას, თაფლს, ჯაგარს, მატყლს და სხვა მისთანებს.

ყოველივე ამანათის ამხანაგობას ჰყავს სპეციალისტი—მცოდნე პირი, რომელიც ხელმძღვანელობს მას. ამხანაგობა ცდილობს ყოველივე საქონელი, მაშინები, თესლეულობა და სხვა გამოიწეროს ცნობილ, სახელოვან ფირმებისაგან, რათა ხალხს საუკეთესო, გამოცდილი თესლები და იარაღები მიაწოდოს, რომ მის მიერ ამ საქმისათვის დახარჯულმა ორიოდ გროშმა მას სარგებლობა და ნაყოფი მოუტანოს. ყოველსავე ამას ამხანაგობა აწვდის სოფლელებს ზამიერ ხელმისაწვდომ ფასებში. ყოველივე ამით ამხანაგობა ებრძვის ხალხის მატყუვრობას ლუკმა პურის არსებობის საქმეში. აი ასე მოქმედობს ეს სახალხო, კულტურული დაწესებულება იმერეთში, სადაც მან ამ ხან მოკლევ არსებობაში საკმაო თანაგრძნობა მოიპოვა მცხოვრებლებისაგან.

შეცდომის გასწორება:

მე-30 გვერდის ბოლოში „ფასიანი და უფასო ამანათები“ უნდა გასწორდეს ასე: „ხარჯი ამგვარ ამანათებისა შემდეგია: ყველგან გარდა ციმბირისა და კასპიის მხარისა 2 გირვანქამდე ღირს 25 კპ., 2—7 გირვ. ღირს 45 კპ., 7—12 გირვ. ღირს 65 კპ., 12 გირვანქაზე მეტისაზედ კი“ და სხვა (როგორცაა დაბეჭდილი).

70/290



მკითხველის საუბრადღებოთ:

წლევანდელი „საგლებო კალენდარი“ ვერაა ისე სრული, როგორც საჭიროა. ჩვენ გვინდოდა, რომ „საგლებო კალენდარი“ ყოფილიყო კრებული, რომელშიაც მოთავსებული იქნებოდა ყოველნაირი გეოგრაფიული, ისტორიული, პოლიტიკური, სასოფლო-სამეურნეო, სტატისტიკური ცნობები; ჩვენი კალენდარი უნდა ყოფილიყო სახელმძღვანელო წიგნი მთელი მუშა ხალხისათვის და განსაკუთრებით გლეხობისათვის. რადგან საქმეს გვიან შევუდექით, წელს ჩვენი განზრახვა ვერ შევასრულეთ, ზოგი უკვე დამზადებული მასალაც ვეღარ დაიბეჭდა.

მომავალში საქმეს სხვანაირათ მოვაწყობთ და ვეცდებით, რომ „საგლებო კალენდარი“ იყოს ნამდვილი ენციკლოპედია გლეხებისათვის.